# ახალგაზრდა ივერიელი

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

23 თებერვალი შაბათი 1991 № 22 (11655)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩეჩენ და ინგუშ ხალხებს

ძვირფასო დებო და ძმებო!

ჩეჩენ, ინგუშ და ქართველ ხალხებს შორის ძმობას, მეგობრობასა და კეთილმეზობლურ ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ჩვენს წინაპრებს არაერთგზის შეუშველებიათ ხელი ერთმანეთისათვის გასაჭირის დროს. გასაჭირი კი ხშირად დაგვტეხია თავს. კავკასიაში შემოსული ყოველი მტერი პირველ რიგში კავკასიელ მკვიდრ ხალხთა გათიშვას და მათ ცალ-ცალკე განადგურებას ცდილობდა. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზის გამო ხოგჯერ ვერ ხერხდებოდა კავკასიელთა შეკავშირება და საერთო მტრის წინააღმდეგ ერთ მუშტად შეკვრა, რითაც მოხერხებულად სარგებლობდნენ დამპყრობლები.

„გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკამ განსაკუთრებით გამოილო ნაყოფი კავკასიაში ცარიზმის დამკვიდრების შემდეგ. იმ დროის განმავლობაში, რაც კავკასიელი ხალხები ჯერ მეფის რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა იმპერიაში მოექცნენ, ყველაზე მეტი ტანჯვა-ვაების გადატანამ სწორედ ჩეჩენ და ინგუშ ხალხებს მოუწია. ეს იმიტომ, რომ თქვენ არასოდეს შერიგებიხართ მტერს, ქედი არ მოგიხრიათ მისთვის. ვაჟა-ფშაველას სიტყვებითაც ხომ „კარგია მუდამ მტრიანი“.

ცარიზმის მიერ განხორციელებული გენოციდის პოლიტიკის მწვერვალი იყო 1864 წელს ჩეჩენთა და ინგუშთა იძულებითი აყრა სამშობლოდან და ოსმანთა იმპერიაში გადასახლება. თავის დროზე ეს ფაქტი მკაცრად დაგმეს ცნობილმა ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა. რად ღირს თუნდაც, ალ. ყაზბეგის ცნობილი ნაწარმოებები, რომლებიც აღსავსეა ჩეჩენ და ინგუშთა მწარე ხვედრის გამო გულისწუხილითა და თანადგომით.

1864 წელს მუჰაჯირობის, სამშობლოს დაკარგვის მთელი სიმწარე ჩეჩნებთან და ინგუშებთან ერთად იწვნიეს კავკასიის სხვა ხალხებმაც: აფხაზებმა, ჩერქეზებმა, აბაზებმა, ყარაჩაელ-ბალყარელებმა, დაღესტნის ხალხებმა, მაგრამ ისტორიის ბედუკუღმართობის გამოცდა, გენოციდის ახალი უბედურების გადატანა ისევ მოუხდა გმირ ჩეჩენ და ინგუშ ხალხებს უკვე „ჰუმანური“ საბჭოთა ხელისუფლების წყალობით 1944 წლის 23 თებერვალს, საბჭოთა წითელი არმიის „ბრწყინვალე“ დღეს, როცა ერთ დღე-ღამეში მთელი ხალხი დიდიან-პატარიანად ჩატვირთეს ვაგონებში და შორეული ყაზახეთის გზას გაუყენეს. უამრავი ადამიანი შეიწირა ამ აქციამ.

1944 წლის 23 თებერვალი სისხლიანი ასოებით ჩაიწერა მსოფლიო ისტორიაში, როგორც გენოციდის დღე. ჩეჩენი და ინგუში ხალხების ჭრილობა მოუშუშებელია, ხოლო მწუხარება უსაზღვრო და უკიდეგანო. ეს ისეთი ჭრილობაა ჩეჩენი და ინგუში ხალხების ისტორიაში, რომლის დავიწყება არ შეიძლება, ხოლო მწუხარება კი არ გაქრება, არამედ იქცევა იმ ძალად, რომელიც სათავეს ხალხის წიაღიდან იღებს და მასვე უბრუნდება როგორც განახლების წყარო, ერის სულიერი აღორძინების ნიშანსვეტი.

ძვირფასო დებო და ძმებო! მიიღეთ ქართველი ხალხის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და პირადად ჩემი ღრმა სამძიმარი 1944 წლის 23 თებერვლის აქციის მსხვერპლთა ხსოვნის აღსანიშნავად.

**ზვიად გამსახურდია,**
**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე.**




6 წლის მამუკა ნოდიას ნახატი.

საარქივო დოკუმენტები მოგვითხრობენ

## ბრძანება № 89

**საქართ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა**

რადგანაც დიდი საჭიროებაა — წითელი არმიის სამხედრო ნაწილებისათვის ლაშქრის სამგზავრო ქვაბები იქნეს, — საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლუციონური კომიტეტი ბრძანებს:

1. ჩამოერთვას ყოველ სამოქალაქო დაწესებულებას და კერძო პირს, გარდა სამხედრო უწყების საწყობებისა, — ლაშქრის სამგზავრო ქვაბები ყოველგვარი სახისა და ჩაბარდეს სამხედრო უწყებას.

2. ყოველი სამოქალაქო დაწესებულება და კერძო პირი ვალდებულია, არა უგვიანეს ერთი კვირის ვადისა, ამ ბრძანების ოფიციალურად გამოქვეყნების დღიდან, მაზრის სამხედრო კომისარიატს ან სამხედრო უწყების ორგანოს ჩააბაროს ზემოხსენებული სახის ქვაბები.

დამნაშავენი ამ ბრძანების აუსრულებლობისათვის მიეცემიან რევოლუციონურ სამხედრო ტრიბუნალს.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტ. თავმჯდ. **ბ. მდივანი.**

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახ. კომისარი **შ. ელიავა.**

რევ. კომიტ. მდივანი **ალ. სვანიძე.**

1921 წ., ნოემბრის 9.

ტფილისი—სასახლე.

## დადგენილება № 4

**ყოფილ სახალხო გვარდიის დაწესებულების ქონების უწყებათა შორის განაწილებისა.**

1. ყოფილი სახალხო გვარდიის ყველა დაწესებულებანი მთელი მათი ქონებით განაწილებულ იქნეს სამხედრო და საზღვაო, შინაგან საქმეთა და მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატების შორის.

2. ამ დაწესებულებათა და მათი ქონების განაწილების წესის შემუშავება დაევალოს ზემოხსენებულ უწყებების წარმომადგენლთაგან შემდგარ კომისიას, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილის თავმჯდომარეობით.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

რევკომის მდივანი **შ. ელიავა.**

1921 წ. მარტის 27.

ტფილისი,
სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მცირე სტატისტიკა სერიოზული განსჯისათვის

სამხედრო საქმის ისტორიკოსებმა და სპეციალისტებმა კარგად იციან ეს გამონათქვამი: „თუ გინდათ ჩემთან საუბარი, გაჩუმდით". იგი ეკუთვნის პრუსიელ გენერალს მოლტკეს (უმცროსს).

სრულიად სამართლიანად შენიშნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამერიკისა და კანადის ინსტიტუტის დირექტორმა გიორგი არბატოვმა, რომ ეს დამოკიდებულება დიდხანს, მთელი შვიდი ათეული წლის მანძილზე იგრძნობოდა საბჭოთა სამხედროებთან საუბარში.

ჩვენ, უბრალო სამოქალაქო მოკვდავებმა, კონკრეტულად არაფერი ვიცოდით, რას ნიშნავდა საბჭოთა სამხედრო სიძლიერე, რა სტატისტიკური გამოხატულება იყო ამ ფრაზის მიღმა, რა საფრთხე იყო მოსალოდნელი იმპერიალისტი აგრესორებისაგან, როგორი იყო მათი სამხედრო ძლიერება, რა სხვაობა იყო ნატოს ბლოკსა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს შორის რიგი სამხედრო ტექნიკის რაოდენობის მხრივ.

ბოლო ხანებში გამჟღავნდა ესა თუ ის ცნობა, მაგრამ ჩვენ მაინც თითქმის არაფერი ვიცით საქმის რეალურ არსზე.

ქვემოთ მოგვყავს ერთი საინტერესო ცხრილი, რომელიც საგანგებოდ არ ვთარგმნეთ. იგი გამოქვეყნდა ჟურნალ „ოგონიოკის" 1990 წლის ერთ-ერთ ნომერში. მასში დასახელებულია რამდენიმე ტიპის სამხედრო ტექნიკა, მოცემულია მათი რაოდენობა ცალკე სსრკ-სა, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებსა და ცალკე ამერიკასა და ნატოს ბლოკის ქვეყნებში.

დასკვნას იმედია, თავად გააკეთებთ.

| Типы боевой техники | СССР | ВСЕГО ОВД | США | ВСЕГО НАТО |
|---|---|---|---|---|
| Танки | 3500 | 4200 | 775 | 925 |
| БМП и БТР | 5250 | 5850 | 1000 | 1950 |
| Полевая артиллерия | 2000 | 2700 | 225 | 275 |
| Системы залпового огня | 500 | 550 | 48 | 53 |
| Артиллерия ПВО | 100 | 175 | 0 | 170 |
| Бомбардировщики | 45 | 45 | 22 | 22 |
| Истребители (штурмовики) | 700 | 710 | 550 | 750 |
| Вертолеты | 400 | 525 | 375 | 575 |
| Крупные надводные корабли | 9 | 9 | 5 | 11 |
| Подводные лодки | 9 | 12 | 3 | 13 |
| Межконтинентальные баллистические ракеты | 150 | 150 | 19 | 19 |
| Баллистические ракеты на подводных лодках | 100 | 100 | 0 | 10 |
| Ракеты средней дальности | 50 | 50 | 0 | 5 |
| Ракеты малой дальности | 450 | 450 | 0 | 0 |
| Крылатые ракеты морского базирования (КРМБ) большой дальности | 200 | 200 | 280 | 280 |
| КРМБ малой дальности | 900 | 900 | 400 | 550 |

დღეს საბჭოთა არმიის შექმნის დღეა, მაგრამ ამ დოკუმენტებს, რომლებიც საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივშია დაცული, საზეიმო თარიღის აღსანიშნავად როდი ვბეჭდავთ. თუმცა ამ ორიოდე წლის წინათ საბჭოთა არმიის დღეს ულოცავდნენ ყველა ასაკის მამაკაცს, სამოქალაქო პირი იქნებოდა ის, თუ სამხედრო — არმია ქვეშეცნეულად არსებობდა როგორც მამაკაცური სიძლიერის, ერთგულების, დიდსულოვნების ერთგვარი სიმბოლო, ჯარი ცხოვრების კარგ სკოლად ითვლებოდა. სამხედრო სამსახურის მოსახდელად მიმავალ ჭაბუკებს საზეიმოდ აცილებდნენ ოჯახის წევრები და ახლობლები. დღე ერთი იყო და რედაქციაში ათი კაცი მაინც მოდიოდა, რათა ჯარში მყოფი თავისი შვილის თავგამოდების ამბავი მთელი რესპუბლიკისათვის ემცნო. საბედნიეროდ, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის შედეგად გამოფხიზლებულმა ხალხმა (და არა მხოლოდ ქართველმა ხალხმა) ძალზე მკაფიოდ დაინახა საბჭოთა არმიის — საკუთარი ხალხის დამსჯელი რაზმის — ჭეშმარიტი სახე. იგი ასეთად ამ შვიდი ათეული წლის განმავლობაში ყალიბდებოდა.

## საარქივო დოკუმენტები მოგვითხრობენ





# მეგობრების გულის სითბო



დღეს საქართველოს უჭირს: გვაკლია სურსათ-სანოვაგე, ელექტროენერგია, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი, განსაკუთრებით იგრძნობა მედიკამენტების ნაკლებობა.

ამ ძნელდებოდის ჟამს საქართველოს დახმარების ხელი გამოუწოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ზაარის მხარემ. თითქმის თხუთმეტ წელს ითვლის თბილისისა და ზაარბრიუკენის მეგობრობა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი კარგი საქმე გაკეთდა, ბევრსაც საფუძველი ჩაეყარა.

არაერთხელ დაგვხმარებიან ჩვენი გერმანელი მეგობრები. ამჯერად კი ორი მილიონი მარკის ღირებულების მედიკამენტები ჩამოგვიტანეს. ამ ჰუმანიტარული აქციის თაოსანი და ხელმძღვანელი იყო ზაარის მხარის პრეზიდენტი ოსკარ ლაფონტენი. დელეგაციას, რომელიც ამ დღეებში ეწვია ჩვენს დედაქალაქს, ხელმძღვანელობდა ზაარის მხარის განათლებისა და სპორტის მინისტრი ქალბატონი მარიანა გრანცი.

• • •

იმ დღეს გერმანელი სტუმრები ეწვივნენ თბილისის ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოს. აქ სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ მედპერსონალი და ჟურნალისტები, შეკრებილთ მიესალმა ქალბატონი მარიანა გრანცი. ზაარლანდისა და თბილისის მეგობრობა არა მარტო სახელმწიფოთა, არამედ ადამიანთა მეგობრული კავშირიცაა, — თქვა მან, — ჩვენ არაერთი ბედნიერი დღე გვაკავშირებს, მაგრამ მეგობრობის ძალა ისაა, რომ გაჭირვების ჟამს დავეხმაროთ ერთმანეთს. შევიტ-



ყვეთ თუ არა, რომ საქართველოს მედიკოსებს აკლიათ მედიკამენტები, არ ჰყოფნით ერთჯერადი შპრიცები, ამ დეფიციტის შევსების მიზნით ჩვენმა მთავრობამ დაიწყო საქველმოქმედო მოძრაობა დევიზით: „ზაარლანდი ეხმარება საქართველოს". მალე ორი მილიონი მარკაც შეგროვდა, ჩვენ ამჯერად 6,5 ტონა სხვადასხვა მედიკამენტები ჩამოვიტანეთ.

ქართველ მედიკოსთა სახელით სტუმრებს დიდი მადლობა გადაუხადა ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა თენგიზ ბაქრაძემ. შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს საავადმყოფო და ესაუბრნენ მედიკოსებს.

• • •

19 თებერვალს თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს სახალხო განათლების მინისტრის პირველი მოადგილე კოტე გაბაშვილი. მან ჟურნალისტებს წარუდგინა სტუმრები: ზაარის მხარის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციუზრუნველყოფის სამინისტროს სამკურნალო დეპარტამენტის უფროსი ჰანს გერნერი, ტურისტული ფირმა „ატეეს რაიზენის" წარმომადგენელი ქრისტოფ ვენცელი, გერმანელი ექსპერტები ეკონომიკისა და სამართლის საკითხებში, ჟურნალისტები. დელეგაცია უფლებამოსილია თავისი ქვეყნის მთავრობის სახელით გააფორმოს საქართველოსთან ოფიციალური ხელშეკრულებები.

რესპუბლიკის საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლებმა კმაყოფილებით აღიქვეს ცნობა იმის შესახებ, რომ გერმანელ სტუმართა ამჟამინდელი ქეთილი ნების ვიზიტი საქართველოში საქველმოქმედოა, მათ ჩამოიტანეს მილიონნახევარი მარკის ღირებულების მედიკამენტები, რომელიც გაუნაწილდება რესპუბლიკის საავადმყოფოებს. 26 მარტს ზაარის მხარე კვლავ გამოგზავნის საქართველოში საჭირო მედიკამენტებს.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ფართოვდება შემოქმედებითი კონტაქტები სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში; ზაარის მხარეში კვალიფიკაციას იმაღლებენ ქართველი სტუდენტები და სხვა.

მარიანა გრანცმა პრეს-კონფერენციაზე აღნიშნა, რომ ზაარის მხარეში მოეწყობა არქეოლოგიური გამოფენა „5 ათასი წლის საქართველო". ამ გამოფენის მასალებზე ერთი წელია მუშაობენ ქართველი და გერმანელი არქეოლოგები.

პრეს-კონფერენციაზე ჟურნალისტთა შეკითხვებს უპასუხეს რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრმა ლია ანდღულაძემ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ მანანა ძოძუაშვილმა, ზაარის მხარის დელეგაციის წევრებმა ჰანს გერნერმა და ქრისტოფ ვენცელმა.

გაფორმდა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ხელშეკრულებანი ზაარის მხარის განათლებისა და სპორტის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროებსა და საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროებთან.

**ოლეგ ბველესიანი,**

**სურათებზე: გერმანელი სტუმრები ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში.**

**ავტორის ფოტო.**

# განცხადება

მკითხველებს ვაცნობებთ, რომ 1991 წლის 7 თებერვალს, ქ. საგარეჯოში, წმ. მამა დავით გარეჯელის საზოგადოების შტაბ-ბინაში, ამავე საზოგადოების ბაზაზე შეიქმნა საქართველოს ქრისტიანული პარტიის საინიციატივო ჯგუფი. განხილულ იქნა პროგრამა და წესდება. საქართველოს ქრისტიანული პარტიის დამფუძნებელი კრება ნავარაუდევია მიმდინარე წლის 7 მარტისათვის, ქ. საგარეჯოში.

**საქართველოს წმინდა მამა დავით გარეჯელის საზოგადოება. მისამართი: საგარეჯო, 383200, დავით აღმაშენებლის ქ. № 8. ტელეფონები: 39-26 და 39-86.**

# მკითხველთა საყურადღებოდ!

„ეკრანის ამბების" რედაქცია გაცნობებთ, რომ გაზეთის ა. წ. 23 თებერვლის ნომერი არ გამოვა ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით, რის გამოც გიხდით ბოდიშს.

# სისხლიანი სტრიქონები



მკითხველს ვთავაზობთ „საქართველოს ჩეკას მიერ 1924 წელს დახვრეტილ პირთა სიას", რომელიც მოპოვებულია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების არქივში. იგი მოიცავს ორას კაცს, რომელთაგან 198-ს აერთიანებს (პირველი შვიდი გასამართლებულია ბანდიტიზმისათვის) „საქართველოს ჩეკას მიერ 1924 წლის აგვისტოს ავანტურაში მონაწილეობისათვის დახვრეტილების სია". ბუნებრივია, იბადება კითხვა, რატომაა აღნიშნულ დოკუმენტში ჩამოთვლილი მხოლოდ 198 პიროვნება, მაშინ როცა ცნობილია, რომ სხვა წყაროებით მათი რაოდენობა რამდენიმე ათასს აღწევდა (მაგ... გაზეთ „სიმართლეში" გამოქვეყნებული ჯერ კიდევ დაუმთავრებელი სიით მათი რიცხვი რამდენიმე ასეულს აღემატება). რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ყველა ადრინდელი ცნობები სხვა წყაროებს ემყარება და ამავე დროს ლოკალური ხასიათისაა — არ არიან სხვა საჭირო დამატებითი ინფორმაციის შემცველნი. ამიტომაც მათი შემოწმება ვერ ხერხდება. წინამდებარე და „სიმართლეში" გამოქვეყნებულ დოკუმენტებს კი თან ახლავს დახვრეტილთა საქმეების ნუმერაციაც. ზუსტი რაოდენობის დადგენის მიზნით შემდგომი მუშაობაა საჭირო. სხვადასხვა სიების შედარებისას ჩანს, რომ ისინი მიზნობრივადაა შემცირებული. როგორც ჩანს ოფიციალურ ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა ბოლომდე თქმული სიმართლე. ხოლო საკუთარი ინიციატივით ზუსტი რაოდენობის დამთვლელი, გასაგები მიზეზების გამო, არც შეიძლებოდა ვინმე ყოფილიყო, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არქივში (თბილისში ან მოსკოვში) ინახება დახვრეტის აქტები (დახვრეტის ადგილების მიხედვით) ან მიახლოებითი რაოდენობის ამსახველი საქმეები. მაგრამ, როგორც ვითხარით, მათ გამოვლენას დიდი მუშაობა უნდა.

ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა მიეჩქმალა ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური დანაშაულებანი. ოფიციალური იდეოლოგიის „ხათრით" ბევრი „მეცნიერი" ამტკიცებდა, რომ სსრკ-ში დანაშაულისათვის საფუძველი არ არსებობდა. ამიტომაც საფიქრალია, რომ ხშირად სისხლის სამართლის ბრალდება მიყენებული აქვთ პოლიტიკურ დამნაშავეებსაც.

წინამდებარე დოკუმენტი 30-იანი წლების დასაწყისში უნდა იყოს შედგენილი. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ საცხოვრებელი თუ სხვა ადგილები აქ ძველი სახელწოდებითაა მოხსენებული. ძნელი მისახვედრი არ არის, რისთვის სჭირდებოდა ჩეკას რეპრესირებულთა ოჯახის წევრებისა თუ უახლოესი ნათესავების ჩამოთვლა და მათი ზუსტი მისამართების მითითება. 30-იანი წლების რეპრესიების დროს მათთვის ცნობილი გახლდათ ყველა „ასაყვანის" წარსული. ასე რომ, თუ რეპრესირებულთა ოჯახის წევრების შემდგომ ბედს თვალს გავადევნებთ, ამ მხრივ „სიურპრიზები" გამორიცხული არ არის.

20-30-იან და შემდგომ წლებში ისტორიკოსები საზოგადოებას სთავაზობდნენ უპირატესად არა დოკუმენტებს თანამედროვე ისტორიის შესახებ, არამედ ოფიციალურ იდეოლოგიაზე დაფუძნებულ „საკუთარ ნააზრევს". ასე იშტამპებოდა ჩვენი ისტორია. ის დოკუმენტები, რომლებიც ასახავდნენ არა „სოციალიზმის ტრიუმფს", არამედ მის ბოროტებასა და ხარვეზებს, გრიფებით „საიდუმლო", „სრულიად საიდუმლო", „შენახულ იქნას მუდმივად" თვით მკვლევარებისათვისაც კი ხელმიუწვდომელი იყო. ახლა საზოგადოებას მარტო ისტორიკოსთა ნააზრევი აღარ აკმაყოფილებს. მას სურს, თავად იყოს ისტორიული კვლევის პროცესის, მკვლევარის ლაბორატორიული მუშაობის თანამონაწილე. თანამედროვე პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ მრავალპარტიულობა თავისუფალი აზროვნების გაცილებით დიდ შესაძლებლობას იძლევა, აზროვნების დემოკრატიზაციისა და თავისუფლებისათვის პირველადი ისტორიული წყაროების სრული პუბლიკაცია მაინც აუცილებელია, მაგრამ გაზეთებში ფართობის სიმცირისა და სხვა მიზეზების გამო მათი გამოქვეყნება ვერ ხერხდება. მეცნიერებას და საზოგადოებას კი დოკუმენტების კრებულები სჭირდება. ეს მოითხოვს სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას (საიდუმლო არქივების მაქსიმალურ გახსნას, ფინანსურ, ტექნიკურ, საკადრო ორგანიზაციულ უზრუნველყოფას). ვიმედოვნებთ, რომ ეს ძალზე მნიშვნელოვანი მეცნიერული და სახელმწიფოებრივი საქმე მალე გახდება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სათანადო ზრუნვის საგანი (მანამდე, ალბათ, საკუთარი ინიციატივით მოგვიწევს მუშაობა). სხვანაირად შეუძლებელია გასწორდეს წლების მანძილზე გაზვიადებული და გაყალბებული საქართველოს უახლესი ისტორია.

გიორგი ციციშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი.

## სრულიად საიდუმლოდ

## სია

პირებისა, რომლებიც დაიხვრიტნენ საქართველოს ჩეკას მიერ 1924 წლის აგვისტოს ავანტიურაში მონაწილეობისათვის.

სახელი, გვარი, მამის სახელი, დაბადების წელი, სოციალური მდგომარეობა, სპეციალობა ან პროფესია, წარმოშობა, მუდმივი საცხოვრებელი, რაში დანაშაულდება.

ოჯახის წევრების შემადგენლობა დაპატიმრების მომენტისათვის, მათი წლოვანება, საცხოვრებელი ადგილი და საქმიანობა (საარქივო საქმის ნომერი).

(შენიშვნა: სია იწყება № 8-ით, რადგანაც პირველი 7 ჩვენთვის არაა საინტერესო).

**8. პატარაია გრიგორი პორფირეს ძე**, 31 წ. დაბადებული თბილისში, ჩერქეზოვის 73. მენშევიკური პარტიის წევრი. დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისში კოოპერატორად. შემდეგ მეურნე განძაში, სენაკის მაზრა.
ცოლი მარია 31 წ. დედა მატრონა, 60 წ. ქალიშვილი ელენე, ცხოვრობს თბილისში ჩერქეზოვის № 73. (ს/ს 1318)

**9. კაჭარავა კონსტანტინე ივანეს ძე**, 29 წ. დაბ. სოფელ საკაჭარაოში. სენაკის მაზრა. პროფესიით კანტორის მუშაკი, მენშევიკური ორგანოს წევრი 1923 წლიდან. დაპატიმრებამდე მსახურობდა აბაშის რაიმილიციაში. მუშაობდა ოჯახში.
მამა ივანე საბას ძე 75 წ. მისი ძმა ილია, 35 წ. რკინიგზაზე ბათუმში. და ნინა, 30 წ. მასწავლებელი თბილისში. დედა პელაგია 55 წ. დიასახლისი. (ს/ს 1343)

**10. ხოშტარია ივანე პეტრეს ძე**, 31 წ. დაბ. სოფ. ხუჯონში, სენაკის მაზრა. მიწის მუშა. მენშევიკების პარტიის ყოფილი წევრი 1917 წლიდან.
და მარია 21 წ. მასწავლებელი თბილისში. მეუღლე ვერა, 28 წ. ქალიშვილი ზოია, 6 წ. შვილი ბორისი 3 წ. (ს/ს 1329)

**11. ლეჟავა ნაზარი ანდროს ძე**, 36 წლის, დაბადებული ქუთაისში. დაპატ. ცხოვრობდა ს. როდინაულში, სასულიერო წრიდან, მიტროპოლიტი.
არა ჰყავს. (საარქივო საქმე 1627).

**12. ჯაჯანიძე გერმანე ბესარიონის ძე**, 56 წ. დაბ. ქუთაისში, სასულიერო, მღვდელი.
შვილი მიხეილი, 24 წ. სტუდენტი გერმანიაში. ვერა, 21 წ. მასწავლებელი ქუთაისში, ევგენია, 18 წ. მოსწავლე, ელიზავეტა, 16 წ. (ს/ს 1627).

**13. ნიკოლაძე ირაკლი ანდროს ძე**, 59 წ. დაბ. ქუთაისში, სასულიერო მღვდელი.
ცოლი, ეკატერინე, 59 წ. დიასახლისი, ქ. ქუთაისი, შვილი მარტა, 12 წლის (ს/ს 1627).

**14. მჭედლიძე სვიმონ მიხეილის ძე**, 60 წ. დაბ. ქუთაისში, სასულიერო, მღვდელი.
ცოლი ეკატერინე, 50 წ. დიასახლისი, შვილები: ბესარიონი, 26 წ. ბიძინა, 22 წ. მასწავლებელი ხონში, დიმიტრი 19 წ. სტუდენტი ტფილისში, ვარვარა, 12 წ. მოსწავლე, ეკატერინე, 8 წლის მოსწავლე, ელიზავეტა, 5 წლის (ს/ს 1627).

**15. კუხიანიძე ბესარიონ სოფრომის ძე**, 53 წ. დაბადებული ქუთაისში, სასულიეროდან, არქიდიაკვანი.
მამა, 80 წლ. დედა დიასახლისი ქუთაისში. შვილები: მიხეილი 22 წ. სტუდენტი ტფილისში. მარია — 18 წ. მასწავლებელი ტფილისში. თამარი — 17 წ. მასწავლებელი. (ს/ს 1627).

**16. კვერნაძე ბიძინა ილარიონის ძე**. 27 წ. დაბ. ოპიშკვეთში, ქუთაისის მაზრა, გლეხობიდან, მიწათმოქმედი.
მამა — 58 წ. დედინაცვალი ანეტა 50 წ. დები: ლიზა — 35 წ. მინადორა — 32 წ. რებეკა — 20 წ. თეოდოსია — 18წ. მაგდალინა — 14 წ. ძმა ალექსანდრე — 3 თვის. მცხ-რები ოპშკვითში. (ს/ს 3086).

**17. გამყრელიძე გრიგოლ ალექსანდრეს ძე**. დაბ. ს. ზოდი. შორაპნის მაზრა, ყოფ. თავადი, ყოფ. ბანდიტი.
ცნობები არ არის. (ს/ს 2288).

**18. ფანცულაია აპოლონ ნიკალას ძე**, დაბ. 1886 წ. ს. ხონი, პედაგოგი — ეკონომისტი. ბოლო დროს მშრომ. სკოლის ინსტრუქტორი აჭარაში, ცხოვრ. ქ. ბათუმში, აჭარის ქ. № 9.
დედა ნინა 60წ. დიასახლისი ს. ხონში. ცოლი ტატიანა, 23 წ. ბათუმი, ძმები აკაკი, 35 წ. მიწათმოქმედი ს. ხონში. ალექსანდრე, 42 წ. და ქეთევანი, 32 წ. (ს/ს 1584).

**19. ჩიქოვანი ავთანდილ პლატონის ძე**, დაბ. 1900 წ. სოფ. უწოსეთი, თავადაზნაურობიდან, პროფესიით ჟურნალისტი, ბოლო დროს მსახურობდა პრესის მუშაკთა პასუხისმგებელ მდივნად. მცხოვრები ბათუმში, ინტერნაციონალის 25.
დედა ელიზავეტა, 60 წ. დიასახლისი, დები მარია, 27 წ. ნადეჟდა 28 წ. მასწავლებელი, ძმა გიორგი 29 წ. მასწავლებელი, მცხოვრები ბათუმში, ინტერნაციონალის 25. (ს/ს 1601).

**20. ფურცელაძე გიორგი მიხეილის ძე**, 58 წ. თავადაზნაურობიდან, ყოფილი გენერალ-მაიორი, დაბ. სოფ. ძერთში, გორის მაზრა, მსახურობდა განყ. გამგედ განათლების სახ. კომისარიატში. მცხოვრები ბათუმში, ლაზარევსკაიას 15.
ცოლი ელენე ანდროს ასული, 51 წ. დიასახლისი, ქ. ბათუმში. ქალიშვილი ოლღა, 21 წ., ირინა, 23 წ. (ქუთაისში), (ს/ს 902).

**21. ჩიტაიშვილი ვასილი ალექსანდრეს ძე**, დაბ. 1898 წ. გლეხის ოჯახიდან, ქ. ოზურგეთი, პროფესიით მიწათმოქმედი, უკანასკნელ დროს მსახურობდა პედაგოგ-მათემატიკოსად, ოზურგეთის სასწავლებელში მენშევიკური პარტიის წევრი 1917 წლიდან, ცხოვრობდა არალეგალურად.
მამა ალექსანდრე სოფრომის ძე, 63 წ. მიწის მუშა, დედა მარინა არტემის ასული 52 წ. დიასახლისი. ძმა გური, 20 წ. ოზურგეთში ცხოვრობდა, ძმა შალვა, 23 წ. სტუდენტი, იმყ. ტფილისში (ს/ს 901).

**22. თვარაძე თეოფანე კაკოს ძე**, 39 წ. გლეხობიდან, სოფ. უსახელო, ლანჩხუთის მაზრა, პროფესიით შავი მუშა, ბოლო დროს დაკავებული იყო უსახელოს სოფლის მეურნეობაში.
ცოლი ფეოდოსია გრიგორის ასული 32 წ. ქალიშვილი ვერა 14 წ. ქალიშვილი ნინა, 12 წ. ვაჟი გრიგორი 7 წ; სერგო, 5 წ; მცხოვრებნი სოფ. უსახელოში. (ს/ს 2234).

**23. ცინცაძე გიორგი კონსტანტინეს ძე**, 1896, მცხ. ქ. ოჩამჩირეში, გლეხობიდან, მხნელ-მთესველი, უკანასკნელ დროს დაკავებული იყო სოფლის მეურნეობაში, მცხ. ოჩამჩირეში.
ცოლი ნინა, 21 წ. დიასახლისი ოჩამჩირეში. (ს/ს 1723).

**24. გუნჯუა ვასილი გიორგის ძე**, დაბ. 1889 წ. კოდორის გუბერნიის სოფ. კინდღი, პროფესიით აგრონომი, მენშევიკური პარტიის წევრი 1902 წლიდან, 1921 წლიდან იმალება. ცხოვრობდა არალეგალურად.
ცოლი მარია პეტრეს ასული 26 წ. დედა კორჩავა 70 წ. ძმა ნესტორი გიორგის ძე, 38 წ. მცხოვრებნი კინდღში (ს/ს 1648).

**25 მიქელაძე კოჩო ნოეს ძე**, დაბ. 1898 წ. თავადაზნაურობიდან, ქუთაისი, პროფესიით ნოქარი, 1921 წლიდან იმალება, ცხოვრობდა არალეგალურად.
მამა — ნოე 65 წ; ძმა შალვა, 25 წ; ბუდუ 22 წ; და პარასკევა 17 წ; ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას სოფელ კულაშში ქუთაისის გუბერნია. (ს/ს 1720).

**26. იმნაძე ანტონ ოსეფნოს ძე**, დაბადებული 1863 წ. ბათუმში, ვაჭარი, ხე-ტყის საწყობის მფლობელი, მცხოვრები ბათუმში, ცხაკაიას 75-ში.
ცოლი ნინა, 38 წ; ვაჟი — ვლადიმერი, 17 წ; ქალიშვილი ქეთევანი 11 წ; ზინაიდა, 10 წ; მცხოვრებნი ქ. ბათუმში, ცხაკაიას 75 (ს/ს 1600).

**27. დადიანი დავით ნიკოლოზის ძე**, დაბ. 1889 წ. მცხ. სოფ. მაიდონახში, თავადაზნაურობიდან, ყოფილი თეთრი მენშევიკი, ოფიცერი, ბოლო დროს მსახურობდა სისხლის სამართლის სამსახურში, კომენდატად, მცხ. ქ. ბათუმში. საავჭრო ქ. № 6.
ცოლი ლიდია, 25 წ. დიასახლისი, შვილი ნიკოლოზ, 15 წ. მოსწავლე ლკკ-ს წევრი, ბესარიონი 14 წ. მცხ. ს, ჩხაკოვაში (ს/ს 1600).

**28. გორდელაძე აგაფი მაქსიმეს ძე**, 26 წ. მცხ. სუფსაში, ოზურგეთის მაზრაში. პროფესიით მკერავი, მცხ. ქ. ბათუმში, რუსთაველის 3. არავინ არა ჰყავს. (ს/ს 1600).

**29. რამიშვილი აკაკი ონისიმეს ძე**, 34 წლის, ხელობით ვაჭარი, ყოფილი მენშევიკური გვარდიის ოფიცერი, მცხოვრები ბათუმში.
არ არის ცნობილი, ანკეტები არ არის. (ს/ს 1600).

**30. ზოიძე ალექსანდრე ქიშვარდის ძე**, 19 წლის, დაბ. ოზურგეთში, გლეხობიდან, ბოლო დროს მუშაობდა ნატანების ქარხანაში.
მამა 54 წ. მიწათმოქმედი, დედა მარია, 45 წ. დიასახლისი, და სონია, 30 წ. ს. ლანჩხუთში; პირველი ორი ს. ნატანებში (ს/ს 1600).

**31. ხომერიკი ალფეს ერმილეს ძე**. დაბ. 1893 წ. გლეხობიდან სოფელ სავხტი. დაკავებული იყო სოფლის მეურნეობაში.
მამა ერმალო, 75 წ. მიწათმოქმედი, დედა სოფიო, 70 წ. დიასახლისი, ძმა გიორგი 27 წ. სტუდენტი ტფილისში, ანდრეი, 40 წ. და ელენე 25 წ. (მცხ. სავხტში), აკულია 27 წ. (ს/ს 1600).

**32. ნემსაძე ევტიხი ილარიონის ძე**, 24 წ. მცხ. სოფ. ოპიშკვეთში, ქუთაისის მაზრა, მეჩექმე, თავადაზნაურობიდან.
ცოლი ქსენია 20 წ. შვილი ვართანი, 2 წლის, ძმა გრიგორი 16 წლის. მცხ. სოფ. ოპიშკვეთში. (ს/ს 1712).

**33. ჩოლიძე ალექსანდრე თეოდორეს ძე**, 20 წლის მცხ. სოფ. ოპიშკვიტში, ქუთაისის მაზრა, გლეხობიდან. მიწათმოქმედი. (24 წ.).
დედა შუშიკო 50 წ. დიასახლისი, ძმა ვარლამი, 12 წლის, ძმა ილია 8 წლის. (ს/ს 1712).

**34. კაშია ონისიმე მაქსიმეს ძე**, 58 წლის. მცხ. ს. ბაშში, ქუთაისის მაზრა, მიწათმოქმედი, გლეხობიდან, ხარაზი.
ცოლი ლუბა 50 წლის, ვაჟიშვილი ალექსანდრე, 19 წლის, ქალიშვილი ქსენია 15 წლის, ქალიშვილი მალანია, 15 წლის. ქალიშვილი ნორა, 5 წლის. მცხოვრები სოფ. ბაშში.

**35. დოგონაძე კაპიტონ მეთოდეს ძე**, 23 წლის. მცხ. სოფ. კოკაში, ქუთაისის მაზრა, სუფლორი, მენშევიკთა ორგანიზაციის წევრი 23 წლიდან.
მამა მეთოდე 50 წლის. მიწათმოქმედი, 21 წ. ოლიფეტი 18 წ. სილვესტრ. 2 წლის, და ლამარა 14 წლის. (ს/ს 724).

**36. ჩხენკელი ივანე ესტატეს ძე**, 35 წლის, მცხ. სოფ. ცაცულიკაიძეში ქუთაისის მაზრა, გლეხობიდან, მასწავლებელი, მენშევიკური ორგანიზაციის წევრი.
მამა ესტატე 80 წ. გლეხი, დედა კესარია, 69 წ. და ელიჩკა 40 წ. ძმა ვასილი 30 წ. კოოპერატივის მოსამსახურე, სტეფანე 4 წლის. და თამარა 27 წ. (ს/ს 863).

**37. წიჭნივაძე რაჟდენ ნიკოლოზის ძე**, 45 წლის, მცხ. სოფ. ხონში, ქუთაისის მაზრა, მიწათმოქმედი, მენშევიკური ორგანიზაციის წევრი, 1909 წლიდან.
დედა პოპიკო 70 წ. დიასახლისი, ცოლი 37 წ. (ს/ს 1632).

**38. უგულავა კონსტანტინე ნესტორის ძე**, 46 წ. მცხ. ხონში, ქუთაისის მაზრა, მასწავლებელი, მენშევიკური ორგანიზაციის წევრი 1903 წლიდან.
ცოლი მარია 43 წ. დიასახლისი. ვაჟი ვლადიმერი 21 წ. ვაჟი ბენიდიქტე 17 წ. მიხეილი 15 წლის, გიორგი 10 წლის (ს/ს 1632).

**39. კაკაბაძე კორნელი ბესარიონის ძე**. 26 წლის, მცხ. სოფ. ხონში, ქუთაისის მაზრა, მასწავლებელი.
მამა ვისარიონი, 67 წ. დედა ანასტასია 65 წ. ცოლი ალექსანდრა 27 წ. ქალიშვილი ირინა — 4 წ. ელეონორა 1 წლის — მცხოვრებნი ხონში. (ს/ს 1632).

**40. კამლაძე ვასილი დავითის ძე**, 40 წლის. მცხოვრები სოფ. სვირში, ქუთაისის მაზრა, გლეხობიდან, მიწათმოქმედი.
მამა დავითი 52 წ. მიწათმოქმედი. სოფ. სვირში ცოლი — ელენე 35 წლის, ვაჟი გიორგი, 11 წლის, ქალიშვილი მარია 8 წლის.

**41. კამლაძე ნესტორ მიხეილის ძე**, 24 წლის, მცხ. სოფ. სვირში, ქუთაისის მაზრა, მოსწავლე, მენშევიკური ორგანიზაციის წევრი 1922 წლიდან.
მამა მიხეილი 66 წ. დედა ელიზავეტა 65 წ. დები ლუბა (22 წ.), ქეთო — 22 წ. მცხოვრებნი სვირში.

**42. კახუაშვილი ხანდრო (ალექსანდრე) ზაქარიას ძე**, 31 წ. მცხ. ეთვალისი, დუშეთის მაზრა, გლეხობიდან, საქართველოს კპ. წევრი 1917 წლიდან 22 წლამდე. დაპატიმრებამდე მუშაობდა მილიციაში, „მუხრანსკის" ბანდის ორგანიზატორი.
ცოლი სონია, 31 წ. დიასახლისი, ვაჟები: მიშა (10 წ.) იასონი (წლის) ლადო 7 წ. ქალიშვილი ელენე — 2 წ. მცხოვრებნი სოფ. ჩადიჯვარში. (ს/ს 8402).

**43. ჩხეიძე სევერიანე ლუკას ძე**, 26 წ. მცხ. ოზურგეთში, მენშევიკური ორგანიზაციის წევრი 1917 წლიდან. პროფესიით ასოთამწყობად მუშაობდა ტფილისში 1921 წლამდე, ხოლო შემდეგ იმალებოდა ტყეში.
მამა ლუკა, 70 წლის, დედა ელიზავეტა 70 წლის, ცოლი ოლგა 20 წლის, ძმა გერმანე 35 წლის, მუშაობს სოფლის მეურნეობაში ოზურგეთში. (ს/ს 1372).

**44. ჰანტურია რაჟდენ ჯამლეტის ძე**, 39 წლის, მცხ. სოფელ მაცხოვრისკარში, სენაკის მაზრა, მიწათმოქმედი, ყოფილი გვარდიელი, მენშევიკური ორგანიზაციის წევრი 1903 წლიდან.
არ არის ანკეტები. (ს/ს 781).

**45. გორგოძე კირილე ნარიმანის ძე**, 25 წ. მცხ. ს. დიმში, ქუთაისის მაზრა, მიწათმოქმედი.
არ არის ანკეტები (ს/ს 764).

**46. მამისაშვილი რაჟდენ მარკოზის ძე**, დაბ. 1886 წ. მცხოვრები ს. გეგუთში, ქუთაისის მაზრა, მიწათმოქმედი.
არ არის ანკეტები. (ს/ს 1599).

**47. იაშვილი დავით იოსების ძე**, დაბ. 1902 წ., ს გეგუთში, ქუთაისის მაზრა, მიწათმოქმედი.
არ არის ანკეტები. (ს/ს 1599).

**48. მუშკუდიანი არკადი სამსონის ძე**, დაბ. 1900 წ. მცხოვრები ს. გეგუთში, ქუთაისის მაზრა, მიწათმოქმედი.
არ არის ანკეტები. (ს/ს 1599).

**49. ლორთქიფანიძე ნიკოლოზ ივანეს ძე**, 24 წლის, დაბ. ს. ვანში, ქუთაისის მაზრა, მცხოვრები სოფ. ბაშში, თავადაზნაურობიდან.
დედა ეკა 60 წ. დიასახლისი, ცოლი ჟენია, 20 წ. ვაჟი, შოთა 4 წლის. (ს/ს 1622).

**50. ხურციძე კალისტრატე ალექსის ძე**, 23 წ. ს. უკუთი, ქუთაისის მაზრა, გლეხობიდან, მიწათმოქმედი.
დედა მაგდალინა 50 წ. მამა კალისტრატე 75 წ. ძმები ევგენი 27 წ. სევერიანე 16 წ. მუშაობენ სოფლის მეურნეობაში ს. უკუთში. (ს/ს 1622).

**51. ბუაძე ევგენი (სოსო) რაჟდენის ძე**, 24 წ. მცხ. ქუთაისში, ჰავჰავაძის 28, სტუდენტი.
მამა რაჟდენი, 52 წ. დედა ანა, 50 წ. ძმა ვასილი —28 წ. ცოლი ცაცა 26 წ. ქ.ქუთაისში. (ს/ს 751).

**52. ზედგენიძე ივანე ალექსანდრეს ძე**, 29 წ. მცხ. ს. ძევერაში, თავადაზნაურობიდან, 1919-20 წ-ში იყო გვარდიაში, უკანასკნელ დროს მუშაობდა სოფლის მეურნეობაში.
დედა თინა 50 წ. დიასახლისი, ცოლი ლიზა — 20 წ. ძმა სულეიმანი, 16 წ. და მარია 12 წ., ქალიშვილი ნინა 4 წ. მცხოვრებნი ს. ძევერაში. (ს/ს 1421).

**53. ერისთავი რევაზ იასონის ძე**, დაბ. 1874 წელს, თავადაზნაურობიდან, გაურკვეველი საქმიანობის, მცხ. ტფილისში, დავითის ქ. სახლი 36.
ანკეტები არ არის. (ს/ს 2031).

**54. ჩიქოვანი გიორგი პლატონის ძე**, დაბ. 1894 წ. თავადაზნაურობიდან, დაბ. უწყერში, პედაგოგი, ბათუმში, მენშევიკური პარტიის წევრი, 1906 წლიდან მცხ. ბათუმში, ინტერნაციონალის 5.
დედა ელიზავეტა, 60 წ. დები მარია 27 წ., ნადეჟდა 28 წ. ძმა ავთანდილ 23 წ. (ს/ს 902).

**55. ახვლედიანი ვლადიმერ ივანეს ძე**, 1990 წ. დაბადებული სოფელ ტყიორისა, თავადაზნაურობიდან, პედაგოგი. მენშევიკური პარტიის წევრი 1912 წლიდან. ბათუმის სკოლის მასწავლებელი. ცხოვრობს ბათუმში მირსკის 29:
მეუღლე ოლგა, 22 წ. შვილი თენგიზი 2 წლის, ცხოვრობს მირსკის № 29. (ს/ს 902).

**56. ქოჩიაშვილი აკაკი ალექსანდრეს ძე**, 30 წ. გლეხი. დაიბადა ქ. ქუთაისში, სოფ. საქარა, შორაპნის მაზრა. სტუდენტი. 1920 წ. იყო მენშევიკი, გვარდიის ოფიცერი, მენშევიკური პარტიის წევრი 1915 წლიდან. ცხოვრობს ს. საქარაში.
მამა ალექსანდრე სპირიდონის ძე, 54 წ. დედა ვასასი, 55 წ. ძმა ვარლამი 21 წ., და რომა, 23 წლის. ცხოვრობენ ს. საქარაში (ს/ს 536).

**57. ბუაძე ვასილი (ვარდენ) რაჟდენის ძე**, 23 წ. ქუთაისის მცხოვრები. ყოფილი მენშ. არმიის ოფიცერი., მენშევიკური პარტიის წევრი 1917 წლიდან. პროფესიით ეკონომისტი. მუშაობს სპეციალობით. ცხოვრობს ქუთაისში, ჰავჰავაძის 28.
მამა რაჟდენი, 52 წ; დედა ანა 50 წ. ცოლი თამარა 20 წ. ქალიშვილი ბადალიკო, 3 წ. ცხოვრობენ ქუთაისში, ჰავჰავაძის 28. (ს/ს 75).

**58. გორგოძე გიორგი სიპიტოს ძე**, 20 წ. დაბ. ზესტაფონში, გლეხობიდან, მოსწავლე,
მამა სიპიტო 60 წ. დედა ლიზა 50 წ., ძმა დავითი 16 წ. მოსწავლე, მუშაობს სოფლის მეურნეობაში, ზესტაფონში (ს/ს 537).

**59. უგრეხელიძე ალექსანდრე კონსტანტინეს ძე**, 24 წ. ს. გვანხეთი, შორაპნის მაზრა, მიწათმოქმედი, თავადაზნაურობიდან.
მამა კონსტანტინე, 60 წ. დედა სოფიო 50 წ. ძმა ივანე 27 წ. და აგრაფინა 29 წ. ელენე 20 წ. მუშაობდნენ სოფლის მეურნეობაში ს. გვანხეთში. (ს/ს 537).

**60. აბზიანიძე ივანე გიორგის ძე**, 32 წლის, დიდი ჯიხაიში, ქუთაისის მაზრა, გლეხობიდან, მიწათმოქმედი, მენშევიკური ორგანიზაციის წევრი, 19 წლიდან გვარდიის შტაბის ყოფილი წევრი.
მამა გიორგი 90 წ. დედა მარიამი 85 წ. ცოლი ალექსანდრა, 30 წ. ვაჟი ნიკოლოზი 2 წ. ქალიშვილი ლიდა 2 თვის. მცხოვრებნი დიდი ჯიხაიში (ს/ს 1639).

**61. ფუტურიძე პარმენ ნიკოლოზის ძე**, 35 წ. ს. მუხიანი, ქუთაისის მაზრა, მიწათმოქმედი, გლეხობიდან, ყოფილი გვარდიელი.
ანკეტები არ არის. (ს/ს 755).

**62. ფუტურიძე ტიხონ ექვთიმეს ძე**, 28 წლის, ს. მუხიანი, ქუთაისის მაზრა, მიწათმოქმედი, ვაჭარი.
ანკეტები არ არის. (ს/ს 755).

**63. ქართველიშვილი ილიკო გიორგის ძე**, 26 წ. სოფ. გიგუთი, ქუთაისის მაზრა, ყოფილი გვარდიელი, გლეხობიდან, მიწათმოქმედი.
ანკეტები არ არის. (ს/ს 755).

**64. ფუტურიძე ვიქტორ პავლეს ძე**, 36 წ. მცხ. ს. მუხიანში. ქუთაისის მაზრა, გლეხობიდან. მიწათმოქმედი.
ცოლი ბაბილინა 18 წ. დიასახლისი, სოფ. მუხიანი, (ს/ს 2189).

**65. თვალთვაძე ვლადიმერ გიორგის ძე**, 19 წ. სოფ. წალენჯიხა, წალენჯიხის მაზრა, მიწათმოქმედი, თავადაზნაურობიდან, დაპატიმრებამდე სწავლობდა ტექნიკუმში, ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1922 წლიდან.
მამა გიორგი 53 წ. ყოფილი მღვდელი, მიწათმოქმედი, სოფ. წალენჯიხაში. დედა კრისტინა 40 წ. დიასახლისი, და გუგული 2 წლის. (ს/ს 1721).

**66. ჰანტურია ვლადიმერ კონსტანტინეს ძე**, 36 წ. საფაქიო-ეწერი. ზუგდიდის მაზრა. მასწავლებელი, გლეხობიდან, ნაც. დემოკრატიული პარტიის წევრი.
მამა კონსტანტინე 70 წ. მიწათმოქმედი. ცოლი პარასკევა 30 წ. მცხოვრებნი საფაქიო-ეწერში. (ს/ს 1721).

**67. ჩომახია ალექსანდრე ივანეს ძე**, 24 წ. დაბ. ზუგდიდში, მიწათმოქმედი, კულაკი, მენშევიკური ორგანიზაციის წევრი 1916 წლიდან.
მამა ივანე, 60 წ., მუშაობს სოფლის მეურნეობაში, დედა მენიკი, 50 წ. ძმები ვარლამი, 22 წ. დააპატიმრა საქართველოს ჩეკამ. ლეონიდე 18 წ. მოსწავლე; გიორგი 12 წ. მოსწავლე; ხუტა, 6 წ; პოლიკარპე 19 წ. მბეჭდავი ტფილისში. და პაშა, 27 წ. დააპატიმრა საქართველოს ჩეკამ. მცხ. ზუგდიდში; სონია 26 წ, მსახურ. სტატისტიკურ განყოფილებში, ტფილისში.(ს/ს 783).

**68. კედია ტიხონ კონსტანტინეს ძე**. 21 წ. დაბ. ზუგდიდში, ზუგდიდის ტექნიკუმის მასწავლებელი, დაპატიმრებამდე ცხოვრობდა სამტრედიის მაზრის სოფელ ოქუმში.
დედა დესპინე, 55 წ. ძმა შალვა, 15 წ. და ვალენტინა 9 წლის მცხოვრებნი ზუგდიდში. (ს/ს 583).

**69. დგებუაძე მიხეილ სოლომონის ძე**. 21 წლის. დაბ. ს. კიცია, სენაკის მაზრა, მიწათმოქმედი. თავადაზნაურ. მენშევიკური ორგანიზაციის წევრი 1921 წლიდან.
არ არის (ს/ს 782).

**70. ხოიძე ისიდორე ივანეს ძე**. 20 წ. გლეხობიდან. ს. სამხრო, ოზურგეთის რაიონი. დაკავებული. სოფლის მეურნეობაში ს. სამხროში..
მამა ივანე — 60 წ. დედა პელაგია — 45 წ., ძმები ეპიფანე 20 წ. ოლიფანტე 17 წ. მცხოვრებნი სოფელ სამხროში. (ს/ს 1600).

**71. მიკურნალიძე კირილე თედორეს ძე**, დაბ. 1907 წ. მცხოვრები ს. ნატანებში. დაკავებულია ს/მეურნეობაში.
დედა ფედოსია, 50 წ. მამა თედორე, 45 წ. მცხოვრებნი ნატანებში (ს/ს 1600).

**72. მუჯირი ნიკიფორე ლევანის ძე**, დაბ. 1887 წ. ნატანებში. გლეხობიდან. დაკავებულია. ს/მეურნეობაში.
მამა ლევანი 80 წ. დედა პაშა — 60 წ. ცოლი ეგზაქოს 32 წ. ძმა პორფირი 29 წ. მცხოვრებნი ს. ნატანებში (ს/ს 1600).

**73. ქადეიშვილი ლავრენტი იოსების ძე**. 26 წ. გლეხობიდან ს. ვაკე დურგალი. მუშაობდა სპეციალობით ს. ვაკეში.
დედა მარინა 60 წ. ძმა ნესტორი 23 წ. გრიგორი 12 წ. მცხოვრებნი ს. ვაკეში. (ს/ს 1600).

**74. ხომერიკი ვიქტორ ვლადიმერის ძე**, 19 წ. დაბ. ს. ზედაუბანში, გლეხობიდან.
მამა ვლადიმერი 51 წ. დაკავ. ს/მეურნეობაში. სოფ. მიქელგორი. (ს/ს 1600).

**75. ქიქვაძე სოფრომ ლავრენტის ძე**, დაბ. 1895 წ. სოფელ სალექტო, გლეხობიდან, დაკავ. ს/მეურნეობაში.
მამა ლავრენტი, 70 წ. დედა ეკატერინე. ძმა ალექსანდრე, 25 წ. აგრონომი. მცხ. სალექტოში ანდრეი, 22 წ. ტფილისი. გერასიმე 19 წ., სტუდენტი ნიკიფორე 36 წ. პროვიზორი მაიკოპში. (ს/ს 1600).

**76. მალაზონია კალენიკ ვასილის ძე**, დაბ. 1896 წ. გლეხობიდან, ს. ნატანები. დაკავ. სოფლის მეურნეობაში, სოფელ სალექტოში.
მამა ვასილი 70 წ. ძმა იოსებ 35 წ. ოზურგეთი, დები ვასასი 32 წ., ვერა 25 წ.

**77. ზაპერტოვი ვლადიმერ ვასილის ძე**, დაბ. 1888 წ. მცხ. ს. ხრიოლეთში, გლეხობიდან დაკავ. ს/მეურნეობაში.
მამა ვასილი 55 წ. დედა ნინა, 38 წ. დიასახლისი, ძმა ვასილი 22 წ. წითელარმიელი ტიფლისში. (ს/ს 1600).

**78. ლორთქიფანიძე ანემპოდისტ ვიქტორის ძე**, 23 წლის. დაბ. ისროთში, ქუთაისის მაზრ. თავადაზნ. ან, მიწათმოქმედი.
მამა ვიქტორი 45 წ. დედა ვარვარა 45 წ. ძმები ვლადიმერი 9 წ. სერაფიმე 17 წ. და ზინაიდა 16 წ. მცხოვრებნი ისროთში.

**79. გოგიბერიძე თედორე ირაკლის ძე**, 28 წ. ს. ძულუთში, ქუთაისის მაზრა, მიწათმოქმედი, გლეხობიდან.
დედა მარტა 70 წ. დიასახლისი, ძმა ონისე 16 წ. მცხ. ს. ძულუთში (ს/ს 1622).

**80. ჩოპონიძე ვლადიმერ თათეოზის ძე**, 33 წ. დაბ. ს. ტობანიერში ქუთაისის მაზრა, გლეხი, მიწათმოქმედი.
მამა თათეოზისი 61 წლის. ძმა ფედოტე 15 წლის, და აგრაფინა 16 წ. მუშაობდა სოფლის მეურნეობაში, ტობანიერში. (ს/ს 1622).

**81. სანიკიძე ბარნაბა იასონის ძე**, 27 წ. დაბ. ს. ტობანიერში, ქუთაისის მაზრა, გლეხობიდან, მიწათმოქმედი.
ძმა პლატონი 23 წ. მიშა 18 წ. დები ანა 24 წ. შუშანა 7 წ. მუშაობდა სოფლის მეურნეობაში, ტობანიერში (ს/ს 1622).

**82. ჭეიშვილი ისაკ ნიკოლოზის ძე**, 26 წ. ს. ოპიშკვეთში, ქუთაისის მაზრა, გლეხობიდან, მიწათმოქმედი.
ცოლი აგრაფინა, შვილი 3 თვის, დედა ალათია 58 წ, მამა ნიკალა 56 წ. დები ნატალია 20 წ. ნინა 19 წ. მუშაობდა სოფლის მეურნეობაში ოპიშკვეთში. (ს/ს 1622).

**83. ჟვანია მიხეილ გრიგორის ძე**, 39 წ. მკერავი, დაბ. ს. ონტოპაში, სენაკის მაზრა მენშევიკურ პარტიაში 1907 წლიდან.
მამა გრიგორი, 77 წ. დედა დესპინე, 60 წ. ცოლი მინადორა, 31 წ. შვილები ოლია 14 წ. თამარი 12 წ. ლუბა, გრიშა 10 წ. მცხოვრებნი ს. ონტოპაში. (ს/ს 1329).

**84. ნადარეიშვილი ევგენი მაქსიმეს ძე**, 37 წ. დაბ. ს. ონტოპაში, სენაკის მაზრა. მიწათმოქმ. მენშევიკური პარტიის წევრი 1905 წლიდან.
და ქსენია, 22 წ. დიასახლისი ს. ონტოპაში.

**85. კაკოიშვილი ნიკალა კაცის ძე**, 31 წ. დაბ. ს. რუნოთში, შორაპნის მაზრა, მცხ. გორის ქ. № 18, მეზღვაური, მესაჭე და კანცელარისტი.
ცოლი 30 წ. მცხ. გორის ქ. № 18 (ს/ს 152).

**86. შარვაძე მიხეილ ანტონის ძე**, 23 წ. ამიერკავკასიის პოლიტ. ინსტიტუტის ყოფ. სტუდ., დაბ. ტფილისში მცხ. ანდრეევის ქ. № 121. მთავარი სარკინიგზო გზის სახელოსნოს მონტიორი, დაპატიმრებამდე მოსწავლე, მენშევიკური ორგანიზაციის წევრი.
მამა 60 წ., მიწათმოქმედი, ქუთაისი, დედა 50 წ. დიასახლისი, და 17 წ. დაამთავრა საშუალო სკოლა, და 14 წ, მოსწავლე (ს/ს 152).

**87. ბოკერია მიხეილ მაქსიმეს ძე**, 33 წ. თავადაზნაურ-დან. დაბ. ქუთაისში, კოოპერატორი. დაპატიმრებამდე მუშაობდა ცეკავშირში ინსტრუქტორად, მენშ. ორგანოს წევრი.
დედა კასიანა 65 წ. დიასახლისი, და ნინა 39 წ. (ს/ს 1316).

**88. გაწერელია დავით ამბროსის ძე**, 30 წ. დაბ. სოფელ მარტვილში, სენაკის მაზრა. აგრონომი, მენშევიკური ორგან-ის წევრი. დაპატიმრებამდე ცხოვრობდა ტფილისში არარეგალურად.
დედა ქრისტინე, 60 წ. დიასახლისი, მცხოვრები ს. მარტვილში (ს/ს 1336).

**89. კობახიძე გერასიმე ფარნაოზის ძე**, 22 წ. დაბადებული ს. ხეთაში, ზუგდიდის მაზრა, პედაგოგი, მცხოვრები ტფილისში, ელიზავეტას ქ. № 49.
მამა ფარნაოზი, 72 წ. და თამარი 24 წ. ნინა, 19 წ. (ს/ს 1292).

**90. გარსიაშვილი გიორგი**, 22 წ. დაბადებული ტფილისში, მცხოვრები ტფილისში. სასულიეროდან. სახ. უნივერსიტეტის სტუდენტი, მენშევიკური პარტიის წევრი 1919 წლიდან.
მამა დავითი, 53 წ. მღვდელი. დედა სოფიო, 44 წ. დიასახლისი. ძმა არჩილი, 20 წ. სტუდენტი. შოთა, 14 წ. მოსწავლე, და ვარვარა, 17 წ. მოსწავლე (ს/ს 1292).

**91. ბარათაშვილი ბესარიონ ნესტორის ძე**, 21 წ. დაბადებული ს. კვალითში, შორაპნის მაზრაში თავადაზ-დან. მენშევიკური ორგან-ის წევრი 20 წლიდან.
მამა ნესტორი, 70 წ. დედა სოფიო, 55 წ. ძმები აკაკი, 30 წ., სიმონი 12 წ. ბიძინა 8 წ. და სოლომეა 18 წ. მცხოვ-ნი ს. კვალითში (ს/ 1279).

**92. არონიშიძე გრიგორ ერასტის ძე**, 22 წ. მცხ. ოზურგეთში, დაპატიმრებამდე სწავლობდა ტფილისში, ცხოვრობდა ბელინსკის 9-ში. გლეხობიდან. მენშევიკური ორგანიზაციის წევრი, მარქსისტი 1919 წლიდან.
მამა ერასტი 65 წ. გლეხი. დედა მარია 45 წ. გლეხი. ძმები: ვასილი 26 წ. გლეხი ალექსანდრე 16 წ. მოსწავლე და ეკატერინე 28 წ. მასწავლებელი მცხოვრებნი ოზურგეთში (ს/ს 1294)

**93. ფიცხელაშვილი გერასიმე მაქსიმეს ძე**, 21 წ. დაბ. ს. კაგონთში, ოზურგეთის მაზრა. მარქსისტული ორგანიზაციის წევრი. სტუდენტი. დაპატიმრებამდე ცხოვრობდა ტფილისში, ლერმონტოვის ქ. 15.
ძმა პარმენი 24 წ. სტუდენტი. და მარია 26 წ. დიასახლისი. (ს/ს 1295).

**94. კედია ალექსანდრე სამსონის ძე**, დაბ. ქ. ზუგდიდში, პედაგოგი, მენშევიკური ორგანიზაციის წევრი 1919 წლიდან, მცხ. ქ. ზუგდიდში, ლუქსემბურგის ქ. № 13.
დედა ეკატერინე, 60 წ. და თამარი, 16 წ. მოსწავლე, მცხოვრები ქ. ზუგდიდში (ს/ს 1307).

**95. დადიანი ოთარ კონსტანტინეს ძე**, 36 წ. დაბ. სოფ. რუხში, ზუგდიდის მაზრა, ყოფილი ოფიცერი, მცხოვრები ტფილისში, ბაშმაჩნის შეს. 42. თავადაზნაურობიდან. ყოფილი ბანდიტი.
ცოლი ლილი ნიკოლოზის ასული, 30 წ. ქალიშვილები: ბაბილინა — 12 წ. თინათინი — 9 წ. ვაჟიშვილები — შოთა 6 წ. ცოტია 2 წ. მცხოვრებნი ს. რუხში. (ს/ს 1285)

**96. დადიანი მუშნი (ივანე) კონსტანტინეს ძე**. დაბ. 1879 წ. სოფ. ჭკადუაში, ზუგდიდის მაზრა, სამხედრო, ყოფილი ოფიცერი, თავადაზნაურობიდან. ყოფილი ბანდიტი, მცხოვრები ტფილისში, ბაშმაჩნის შეს. 42.
ცოლი ეკატერინე 40 წ. შვილები: კონსტანტინე 12 წ. გიორგი 10 წ. ელენე 8 წ., მცხოვრებნი ტფილისში. (ს/ს 1285)

**97. გარდაფხაძე ნესტორ გრიგოლის ძე**, 57 წ. დაბ. სოფ. ჩალურში. ლეჩხუმის მაზრა, სამხედრო მოსამსახურე, ყოფ. პოლკოვნიკი, ყოფ. ბანდიტი, მცხ. სასტუმრო „ოტელ ჰოი"-ში.
ცოლი ეკატერინე 42 წ. დიასახლისი, 6 შვილი (მონაცემები არ არის). (ს/ს 1285)

**98. მებურიშვილი იონა ბესარიონის ძე**, 37 წ. დაბ. ქუთაისში, მცხ. ჰავჰავაძის ქ. № 7. ექიმი, მსახურობს ქ. ქუთაისის კომრაზმში და პარტსკოლაში, მენშევიკური ორგანიზაციის წევრი 1920 წლიდან.
ცოლი ანა პეტრეს ასული, 32 წ. მასწავლებელი, შვილები: პეტრე 4 წ. ვისსარიონი 6 წ. სიდედრი პელაგია რუხაძე, დიასახლისი, 65 წ. მცხოვრები ქუთაისში (ს/ს 1307)

**99. კედია ალექსანდრე სამსონის ძე**, 21 წ. დაბ. ზუგდიდში, პედაგოგი, მენშევიკური ორგანიზაციის წევრი 1919 წლიდან. მცხოვრები ქ. ზუგდიდში, ლუქსემბურგის ქ. № 13.
დედა ეკატერინე ქაიხოსროს ასული, 60 წ. დიასახლისი, ქ. ზუგდიდი, და თამარი, 16 წ. მოსწავლე. (ს/ს 1307)

**100. კახუაშვილი ხანდრო (ალექსანდრე) ზაქარიას ძე** 31 წ. დაბ. ეთვალისში, დუშეთის მაზრა, გლეხობიდან, საქართველოს კომპარტიის წევრი 1917 წლიდან, 1922 წლიდან ბანდის ორგანიზებამდე მუშაობდა მილიციაში, არის „მუხრანკის" ბანდის ორგანიზატორი.
ცოლი სონია 31 წ. დიასახლისი. შვილები: მიშა 10 წ. იასონი 9 წ. ლადო 17 წ. ელენე 2 წ. მცხოვრებნი სოფ. მჭადიჯვარში. (ს/ს 8402)

**101. ჩხეიძე სევერიან ლუკას ძე**, 26 წ. დაბ. ოზურგეთში, მენშევიკური ორგანიზაციის წევრი 1917 წლიდან, ასოთამწყობი, მუშაობდა ტიფლისში 1921 წლამდე, შემდეგ ტყეში იმალებოდა.
მამა ლუკა 70 წ. გლეხი, დედა ელიზავეტა 70 წ. ცოლი ოლგა 20 წ. ძმა გერმანე 35 წ. მცხოვრებნი ოზურგეთში. (ს/ს 1373)

**102. ბობოკაშვილი სოლომონ პეტრეს ძე**, 33 წ. დაბ. ტფილისში, დიდუბე, კანცელარიის მუშაკი, ყოფილი მილიციელი, მენშევიკური ორგანიზაციის წევრი 1902 წლიდან.
ცოლი ლეონიდა 27 წ. მუშაობდა მე-12 კომისარიატში, დიდუბეში. შვილები: რევაზი 11 წ. მერი 6 წ. (ს/ს 1343)

# სისხლიანი სტრიქონები

103. ჯიქიძე ალექსანდრე ერმილეს ძე. დაბ. ს. ნოსირში, სენაკის მაზრა. გლეხობიდან, მოსამსახურე, მენშევიკების გვარდიაში.
დედა ანა ივანეს ასული 40 წ. დიასახლისი. ძმები: არსენი 21 წ. მოსწავლე, ანიკიტი 13 წ. მცხოვრებნი ს. ნოსირში, გლეხები. (ს/ს 1296)

104. ოთხმეზური გიორგი დავითის ძე. 45 წ. დაბადებული ახალციხეში, სამხედრო, დაპატიმრებამდე მენშევიკური არმიის ოფიცერი. მსახურობდა სამხედრო კომისრის თანაშემწედ. ცხოვრობს ახალციხეში, ორლოვის ქ. № 8.
ცოლი ნინა, 33 წ. დიასახლისი, ქ. ახალციხე. ძმა თეოფილე 40 წ. კოლმეურნე (ოზურგეთი), დები: ფირცხალავა მატრენა 55 წ. კოხეშვილი სოფიო 50 წ. (ბათუმი), ზარინ შტალ ალექსანდრა 35 წ. (ლენინგრადი, ვაშაკმაძე თამარა 30 წ. (ოზურგეთი). (ს/ს 1340)

105. ტუხაშვილი გიგა დავითის ძე. 46 წ. ბოდბისხევში. ტფილისის მაზრა. დურგალი, მუშაობდა სახლში. მენშევიკური ორგანიზაციის წევრი 1908 წლიდან.
ცოლი ვარია 36 წ. დიასახლისი. მამა დავითი, 72 წ. ძმა ივანე, 41 წ. ვაჟი 1 წ. მცხოვრებნი ბოდბისხევში. (ს/ს 1047)

106. ბეჟაშვილი ნიკოლოზ გიორგის ძე. 21 წ. დაბ. ცქერაანში, სიღნაღის მაზრა, მოსწავლე.
მამა გიგა (62 წ.) მიწათმფლობელი, დედა ნატალია 53 წ. და ნინა 16 წ. ძმა ალექსანდრე 13 წ. მცხოვრებნი ცქერაანში.

107. პოპანდოპულო ნიკოლოზ ზაქას ძე. 41 წ. მცხოვრები ს. ოპრეტში, ბორჩალოს მაზრა, პედაგოგი, სასულიერო წრიდან, მენშ. ორგანიზაციის წევრი 1905 წლიდან.
დედა ლიდა 70 წ. ცოლი ანა 31 წ. შვილები: სავა 11 წ. გრიგორი 9 წ. ქრისტეფორე 7 წ. ელენე 5 წ. ალექსანდრე 3 წ. მცხოვრებნი ს. ოპრეტში, ბორჩალოს მაზრა. (ს/ს 1296)

108. გაბუნია გიორგი დავითის ძე. 26 წ. დაბ. სენაკში, მოანგარიშე, დაპატიმრებამდე ვაჟარი.
ცოლი ნინა 20 წ. დიასახლისი. დედა ვარვარა, 57 წ. (ს/ს 1338)

109. მაღრაძე გიორგი ალექსის ძე. 27 წ. დაბ. ტფილისში, მცხ. საბურთალოზე, კორექტორი, მენშევიკური ორგანიზაციის წევრი 1917 წლიდან.
დედა მარია პავლეს ასული, 65 წ. დიასახლისი. მამა ალექსი თედორეს ძე, 78 წ. ნახირის მესაკუთრე საბურთალოზე. (ს/ს 1315)

110. კიკვაძე ვასილი არისტოდეს ძე, 34 წ. დაბ. ს. ლუქსემბურგში, ტფილისის მაზრა, კანცელარიის მუშა, ყოფილი „პორუჩიკი". მცხოვრები ლუქსემბურგში, სადოვაიას 31. დაპატიმრებამდე მუშაობდა საქმის მწარმოებლად სახლმმართველობაში, ბორჩალოს მაზრაში.
ცოლი ირა, 28 წ. მკერავი. რძალი 45 წ. დიასახლისი. (ს/ს 769)

111. დალაქიშვილი შაქრო არტემის ძე, 26 წ. დაბ. მუხრანში, დუშეთის მაზრა, დაპატიმრებამდე მუშაობდა დუშეთის მაზრის მილიციაში, გლეხობიდან.
ცოლი მაია, 22 წ. დიასახლისი, ს. მუხრანი. შვილები: გიორგი 35 წ. მიწათმფლობელი, დავითი 28 წ. (ს/ს 8402)

112. ბარუტაშვილი იოსებ სოლომონის ძე, 33 წ. დაბ. ს. მუხრანში, ტიფლისის მაზრა. დაპატიმრებამდე მუშაობდა დუშეთის მაზრის მილიციაში მილიციელად, გლეხობიდან.
მამა სოლომონი, 60 წ. დედა ანა, 60 წ. ს. მუხრანი. ძმები: ვლადიმერი 28 წ. ივანე 37 წ. (ს/ს 8402)

113. მერაბაშვილი მიტრო ისაკის ძე, 23 წ. ს. მუხრანი, დუშეთის მაზრა, გლეხობიდან. დაპატიმრებამდე მუშაობდა მილიციაში, კახუაშვილის ბანდის წევრი.
მამა ისაკი, 90 წ. დედა ბაბალე, 80 წ. ძმები: იოსები 38 წ. ანტონი, 27 წ. დუშეთი. (ს/ს 8402).

114. ჩერქეზიშვილი შიო, გიორგის ძე, 24 წ. დაბ. მუხრანში, დუშეთის მაზრა. გლეხობიდან. მსახურობდა მილიციაში, კახუაშვილის ბანდის წევრი (1924 წ.).
არა ჰყავს. (ს/ს 8402)

115. ქარციძე დავით ერდიშხანის ძე, 42 წ. დაბ. ოზურგეთში, მცხ. ტფილისში, კლასიცესკაიას 14, მწერალი და პოეტი, ყოფილი პოლკოვნიკი, დაპატიმრებამდე მუშაობდა საქართველოს კოოპერატიულ ბანკში.
დედა ელპიტე ივანეს ასული, 60 წ. დიასახლისი, და თამარი, 24 წ. ძმები: გიორგი 30 წ. კონსტანტინე 38 წ. ასოთამწყობი. მცხ. ტფილისში. (ს/ს 1339)

116. ჩიქავა ალექსანდრე ხუტუს ძე, 40 წ. პედაგოგი, დაბ. წალკისში. მენშევიკური ორგანიზაციის წევრი 1905 წლიდან. სკოლის გამგე სოფ. წალკისში.
არ არის. (ს/ს 1325)

117. კვერნაძე (გურგიხელი) ნილო ნიკოს ძე, დაბ. 1893 წ. სოფ. მტრედში. მწერალ-დრამატურგი, მენშევიკური ორგანიზაციის წევრი 1913 წლიდან მცხ. ტფილისში, საპერნაიას 24.
ცოლი აბდუშელი 25 წ. კონსერვატორიის მოსწავლე, ტიფლისი, საპერნაიას 24. დედა შაფათავა მ. 50 წ. დიასახლისი. მცხ. სამტრედიაში (ს/ს 1346)

118. ფიფია დანიელ პავლეს ძე, 29 წ. დაბ. ობუჯში, ზუგდიდის მაზრა. მიწათმფლობელი. მენშევიკური ორგანიზაციის წევრი, 21 წლიდან მენშევიკური მთავრობის დროს იყო ორგანიზატორი, პროპაგანდისტი, აჯანყების ხელმძღვანელი ზუგდიდის რაიონში.
და ნინა პავლეს ასული, 30 წ. დიასახლისი, ს. ობუჯი. (ს/ს 1306)

119. ბაძაღუა ივანე, 39 წ. დაბ. ს. მუხურში, ზუგდიდის რაიონი, პედაგოგი, მიწათმფლობელი. მენშევიკური ორგანიზაციის ყოფილი წევრი 1904 წლიდან.
ცოლი მარია კუზნეცოვა, 27 წ. მასწავლებელი ს. მუხურში. დედა ელიზაბეტა მიქელაძე, 95 წ. დიასახლისი. (ს/ს 1339)

120. მიქელაშვილი მალაქია რაჟდენის ძე, 36 წ. დაბ. ს. ტაუბძუ, ოზურგეთის მაზრა. აგრონომი და კოოპერატორი. მენშევიკური ორგანიზაციის წევრი 1907 წლიდან. დაპატიმრებამდე ცხოვრობდა ტფილისში. რეუტოვსკაიას 16, მუშაობდა ცეკავშირში, ორგ. განყოფილების ინსტრუქტორად.
დედა ეპა, 58 წ. ძმები: ფედორი 23 წ. ვლადიმერი 21 წ. და აგრაფინა 38 წ. მიწათმოქმედნი, მცხ. სოფ. ტაუბძუში. (ს/ს 1284)

121. გვენცაძე გიორგი ალექსის ძე, დაბ. 1888 წ. პატარა შარვაში, რაჭის მაზრა. მლესავი, ყოფ. მენშევიკი. დაპატიმრებამდე ცხოვრობდა ტფილისში, ლოტკინის 12, მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოს გამგედ.
მამა ალექსი 58 წ. დედინაცვალი 46 წ. ძმა დიმიტრი 15 წ. დები ეფროსინე 13 წ. ვერა 8 წ. მცხ. ტფილისში, ლოტკინის 12. (ს/ს 1313).

122. პელიძე ამბროსი გალაქტიონის ძე, 20 წ. დაბ. ბაჯში, რაჭის მაზრა. სტუდენტი, მსახურობდა ტფილისში „ნაძალადევის" თეატრში სუფლიორად. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრი 1921 წლიდან. მცხოვრები აგარაკის 106.
მამა გალაქტიონი 49 წ. მჭედელი. დედა მალაქია შიოს ასული დიასახლისი. (ს/ს 1348)

123. ბუკია სიმონ გრიგოლის ძე, 34 წ. დაბ. ბუკნარში, ოზურგეთის მაზრა, გლეხი-მიწათმოქმედი, მენშევიკური ორგანიზაციის წევრი 1907 წლიდან.
დედა ივლიტა 65 წ. და მარია 35 წ. ნათესავი კოტე 17 წ. (ს/ს 1314)

124. მურმანოვი დავითი ივანეს ძე, 27 წ. დაბ. ს. საგარეჯოში, ტფილისის მაზრა, გლეხი-მიწათმოქმედი, მენშევიკური ორგანიზაციის წევრი.
დედა ევა 50 წ. დიასახლისი. ოზურგეთი. ძმა ტიგრანი, 24 წ. მიწათმოქმედი. (ს/ს 1334)

125. დონაძე მოსე ნიკოლოზის ძე 32 წ. დაბ. ტფილისში, ფედოსეევის 31, მკერავი, მუშაობდა სახლში.
ძმა ფომა, 35 წ. პარიკმახერი. მცხოვრები კოჩუბეევის 11, ცოლი ოლგა 28 წ. დიასახლისი, ფედოსეევის 31. შვილები: ნიკალა 3 წ. გივი 8 თვის. (ს/ს 1308)

126. ხვანიძე პავლე არსენის ძე, 23 წ. დაბ. ტფილისში. მცხ. ელექსეევის ქ. 24. სტუდენტი, მენშევიკური ორგანიზაციის წევრი 1917 წლიდან.
მამა არსენი 60 წ. წამყვანი ტელეგრაფისტი, დედა ოლგა 50 წ. დიასახლისი, ძმა ვალერიანი 20 წ. კურსანტი. ბიძა სილიესტრი. 50 წ. კომერსანტი, მცხ. ქუთაისში ჯორჯიაშვილის ქუჩაზე. (ს/ს 1371)

127. მეიფარიანი მიხეილ გრიგორის ძე, 22 წ. დაბ. ტფილისში, მცხოვრები გოგოლის 48-ში, სტუდენტი. ახალგ. მარქსისტული ორგანიზაციის წევრი 1922 წლიდან, დაპატიმრებამდე მუშაობდა რკინიგზაზე.
დედა სოფიო, დიასახლისი, ძმა ზაალი, რკინიგზელი, დები: ოლგა სულიაშვილი, დიასახლისი, თამარ ზალდასტანიშვილი დიასახლისი. მცხ. გოგოლის 48. (ს/ს 1371)

128. გოგნიაშვილი დიმიტრი ლევანის ძე, 23 წ. დაბ. ქვემო ხოდაშენში, თელავის მაზრა. სტუდენტი. მცხ. ტფილისში, 19 თებერვლის ქუჩა 12. მენშევიკური ორგანიზაციის წევრი 1917 წლიდან.
მამა ლევანი, 57 წ. აგრონომი წინანდლის კოოპერატივში. დედა პელაგია, 52 წ. დიასახლისი. ძმა ნიკალა 19 წ. მოწაფე, და თამარი, 17 წ. მცხოვრებნი 19 თებერვლის ქ. 12. (ს/ს 1370)

129. ჩახავა ივლიანე მაქსიმეს ძე, 32 წ. დაბადებული ტფილისში, მცხოვრები ოლგინსკის 47. ბინა 8, ყოფილი ოფიცერი, მენშევიკი 18 წლიდან. ცხენოსანთა განსაკუთრ. გვარდიული რაზმის უფროსი და სამხედრო საველე სასამართლოს თავმჯდომარე. დახვრიტა ყაზბეგის რ/ში ტყვე ბოლშევიკები.
ცოლი ეკატერინე, 28 წლის, დიასახლისი, მცხოვრები ოლგინის 47-ში. ძმა ვლადიმერი, 24 წ. უმუშევარი; მამა მაქსიმე. 62 წ. მეურნე. დედა ოლგა 50 წ. დიასახლისი. და ვარვარა, 37 წ. მცხოვრები სენაკის მაზრაში. (ს/ს 1341)

130. კერესელიძე რაჟდენ არჭევანის ძე, 35 წლის, დაბადებული პატარა თიანეთში, ტფილისის მაზრაში, დურგალი, მენშევიკური ორგანოს წევრი 1904 წლიდან, ყოფილი თეთრგვარდიელი, უნტეროფიცერი, მცხოვრები ტფილისში ბოგოსლოვსკის 6.
ცოლი ოლგა, 34 წ. დიასახლისი, მცხოვრები ბოგოსლოვსკის ქ. № 6. შვილი მარია, 11 წლის (ს/ს 1351).

131. ქოჩუაშვილი მიხეილ ერასტის ძე, 32 წლის, დაბადებული ბანოჯაში, ქუთაისის გუბერნია. დაპატიმრებამდე მუშაობდა ქუთაისში გაზეთის „მუშა და გლეხის" რედაქციაში კორექტორად. მენშევიკური ორგანოს წევრი 1911 წლიდან.
დედა ეკატერინე, 56 წ. მიწათმოქმედი და მარია, 25 წლის, ბანოჯა (ს/ს 1363).

132. ქუთელია გრიგოლ ვასილის ძე, 38 წ. დაბადებული ზუგდიდში, სამხედრო, მეურნე. თავადაზნაურობიდან. მენშევ. დროს მსახურობდა პოდპოლკოვნიკის ჩინით.
ცოლი ანა, 28 წლის, დიასახლისი ზუგდიდში. ძმა ბორისი, 7 წლის, ნათესავი მარია 14 წ. (ს/ს 1360).

133. მხეიძე გიორგი სოლომონის ძე, 26 წლის, მუშის ოჯახიდან, დაპატიმრებამდე ცხოვრობდა ტფილისში, ბელინსკის ქ. № 59 და იზმაილოვსკის 25. მუშა.
დედა ბაბილინა, 48 წ. დიასახლისი, სენაკი, ძმა ანდრეი, 18 წ. უმუშევარი, დაპატიმრებული ვლადიმერი 25 წ. სტუდენტი, სენაკი, და ანიჩკა, 17 წ. დიასახლისი — სენაკი. (ს/ს 1320).



134. მაკარიძე გრიგოლ მატვეის ძე, 24 წ. დაბადებული სოფელ თერჯოლაში შორაპანის მაზრა, სტუდენტი, დაპატიმრებამდე სწავლობდა ტფილისში, ცხოვრობდა ყაზბეგის ქ. № 39.
მამა მატვეი, 56 წ. მიწათმოქმედი; დედა მინადორა, 47 წ. ძმები: მიხეილი, 16. წ. ალექსანდრე, 14 წ; გიორგი 11 წ. (ს/ს 1365)

135. გეგელია იოსებ თევდორეს ძე, 38 წ., დაბადებული ზუგდიდში, გლეხობიდან, მიწათმოქმედი.
ძმა დიმიტრი, 45 წ. ქ. ფოთი მუშაობდა სატყეო კომბინატში; და ნინა, 35 წლის, მასწავლებელი ზუგდიდში.

136. მახალდიანი ვასილ სპირიდონის ძე, 40 წ. დაბადებული სოფელ ჩორჯოში, რაჭის მაზრა, ჩინოვნიკი ინსპექტორის მოადგილე, მცხოვრები მოსკოვის ქ. №15, მენშევიკური ორგანოს წევრი 1919 წლიდან.
ცოლი ნინა, 34 წ. დიასახლისი, მცხოვრები მოსკოვის 15; შვილები: ნატალია, 13 წლის, ვახტანგი 12 წ. (ს/ს 1326).

137. ტყემალაძე ირაკლი სპირიდონის ძე, 27 წლის, დაბადებული ს. ბაჯიტში შორაპანის მაზრა, სტატისტიკოსი, დაპატიმრებამდე მუშაობდა ტფილისში, ცხოვრობდა არწუნის ქ. №32 სასულიერო ორგანოს წევრი 17 წლიდან.
დედა დარია ,65 წ. დიასახლისი, ძმები გალაქტიონი, 45 წლის, კლავდი 40 წ. ექიმი, მიტროფანე, 36 წ. ფარმაცევტი (ს/ს 1359).

138. კაპანაძე ვასილი გიორგის ძე, 20 წ., დაბ. ტფილისში, მცხ. ელიზავეტის ქ. 123, მლესავი, ამჟამად სახ. უნივერსიტეტის სტუდენტი, ახალგაზრ. მარქსისტ. ორგანიზაციის წევრი 1921 წლიდან.
მამა გიორგი 54 წ. ტრანსპორტის მუშაკი, დედა ანასტასია 50 წ. ძმები: დავითი 25 წ., ნიკალა 23 წ. და ვარვარა 23 წ. დიასახლისი. (ს/ს 1366).

139. ცომაია ივანე მაქსიმეს ძე 45 წ. მცხოვრები არალეგალურად, სამხედრო მოსამსახურე. მენშ. ორგანოს წევრი 1915 წ-დან, ყოფილი კაპიტანი.
ცოლი ნინა, 45 წ. დიასახლისი, ოზურგეთი, შვილი ევგენია, 17 წ. მოსწავლე (ს/ს 1281)

140. სალუქვაძე გიორგი ალექსის ძე, 38 წ. მცხ. არალეგალურად ,წარმოშობით ოზურგეთის მხრიდან, თავისუფალი პროფესიის, 1903 წ-დან მენშ. ორგანოს წევრი.
დედა ეკატერინე 70 წ. დიასახლისი. დები ანა, 38 წ, მცხ. ოზურგეთში; ვარვარა, 27 წ; მარია 20 წ, ძმები: დომენტი, მიწათმოქმედი, დიმიტრი (ს/ს 1281).

141. გვალია მიხეილ სტივას ძე, 49 წ. დაბ. ზუგდიდში, ყოფილი ნოტარიუსი, მენშ. ორგანო წევრი 17 წლიდან, მცხ. ქუთაისში.
ცოლი მარია, 38 წ. სენაკი. შვილები: თამარა, 17 წ, ქსენია 15 წ; მიხეილი 12 წ; ნინა 10 წ (ს/ს 1287)

142. დგებუაძე ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, 24 წ. დაბ. ს. განირში, ქუთაისის მაზრა, სტუდენტი, თავადაზნაურობიდან, მენშ-ის ნაც დემოკრატიული პარტიის წევრი 1915 წლიდან.
მამა ნიკოლოზი, 60 წ, მიწათმოქმედი. დედა — ვარვარა, 46 წ, დიასახლისი, ძმები ლევანი 26 წ, სტუდენტი, ერასი 14 წ. დები ლიდა, 17 წ, ელიზავეტა 12 წ. მოსწავლე (ს/ს 1283)

143. გამყრელიძე კონსტანტინე ექვთიმეს ძე, დაბადებული 1898 წ. ს. ზოდში, შორაპანის მაზრა, მენშევიკების დროს მსახურობდა მენშევიკების მსროლელთა პოლკში.
დედა ეკატერინე, დიასახლისი. ზოდი. ძმა კაპიტონი, მიწათმოქმედი, და თამარი (ს/ს 1292).

144. ხოხანია კლიმენტი ნიკოლოზის ძე, 23 წ., დაბადებული სოფ. პატარა ხობში ზუგდიდის მაზრა. ცხოვრობს თბილისში, ტერ-გუკასოვის ქ. 14.
დედა ანასტასია, 55 წ. დიასახლისი ს. ხობი, მამა ნიკოლოზი 50 წ, მიწათმოქმედი. და ქსენია 24 წ. მოსწავლე. ძმა ვალიკო 18 წ. მოსწავლე ფადეი, 27 წლის, კურსანტი (ს/ს 1292)

145. ქოჩიაშვილი გიორგი ვასილის ძე, დაბადებული 1900 წ. სოფელ მაჩხანი, გლეხი, კანცელარიის მუშაკი. მუშაობდა სასამართლოში აღმ. საქართველოში, ცხოვრობს თბილისში, ალექსანდროვსკის 41-ში.
დედა ოლგა 53 წ. და სოფიო 28 წ. მასწავლებელი; ნინა 23 წ. მოსწავლე. ცხოვრობენ ტფილისში ალექსანდროვსკის №41-ში. (ს/ს 1368)

146. მელია იოსებ დიმიტრის ძე, 1885 წ. დაბადებული ქუთაისში, თავადაზნაურობიდან. ცხოვრობს ქუთაისში, ზდანოვიჩის 57.
დედა ეფემია 60 წ. დიასახლისი. და თამარა 35 წ. დიასახლისი, ანა 32 წ. ვარვარა 30 წ. მასწავლებელი (ს/ს 1354)

147. დიდიძე ირაკლი ნესტორის ძე, 27 წლის, გლეხობიდან. ს. ენდი-ჯიხოლე-იგიმ. ქუთაისის მაზრა, მეფისა და მენშ. არმიის ყოფილი ოფიცერი, პედაგოგი. მუშაობდა სამტრედიის გიმნაზიაში. მენშ. პარტიის წევრი 1921 წლიდან.
ძმა ამბროსი, 19 წლის, მოსწავლე. და ქსენია, 21 წლის დიასახლისი ს. სამტრედია (ს/ს 1364)

148. გოცირიძე ნიკოლოზ ილიას ძე, 29 წ. გლეხობიდან, დაკავებულია სოფლის მეურნ. ლუქსემბურგის კოლმ-ში.
მამა ილია მიწათმოქმედი, ცოლი მარია: ძმები ვასილი და ვახტანგი (ს/ს 2910)

149. ქარუმიძე ალექსანდრე ალექსის ძე. 42 წ. დაბ. გორის მაზრაში, მოსამსახურე კოოპერატორი. მუშაობდა წამყვან კოოპერატორად სოფ. თორტიზში.
ცოლი ნინა, 30 წ. დიასახლისი, სოფ. თორტიზში. შვილები: ზურაბი 12 წ., ოთარი 4 წლის, ვარვარა 10 წ. კატო 18 წ. (ს/ს 799).

150. ანდღულაძე დიმიტრი ირაკლის ძე, დაბ. 1900 წ. სოფ. კოხნარი, სამხედრო მოსამსახურე, წითელარმიელი, მისამართი საქართლეგიონის ყაზარმა.
მამა ირაკლი, 64 წ. მიწათმოქმედი ს. ოხნაში. დედა ფებრონია, 55 წ. დები თამარი 20 წ, მინადორა 12 წ. ძმა დავითი 8 წ. (ს/ს 1347).

151. აბაშიძე გიორგი ივანეს ძე, დაბ. 1904 წ. ქ. ტფილისში. თავადაზნაურობიდან, სტუდენტი, მენშ. პარტიის წევრი 1915 წლიდან. მისამართი, თბილისი ნიკოლაევსკის №4/16.
დედა თეკლე, 42 წ. ტფილისში, ნიკოლაევ. №64. ძმები ვახტანგი, 22 წ, სტუდენტი ირაკლი, სტუდენტი, 18 წ. და თამარი, 19 წ. (ს/ს 1306)

152. დიდებულიძე ალექსანდრე პლატონის ძე, დაბ. 1900 წ. გორის მაზრა, თავადაზნაური. სტუდენტი, მენშ. პარტიის წევრი 1917 წლიდან, მისამართი ტფილისი უდელის 14.
მამა პლატონი, 60 წ., საბჭოთა მუშაკი, დედა ნინა, 63 წ. დიასახლისი, გორი; და ელენე, 29 წ. ტფილისი, განოვსკის 9 (ს/ს 1319)

153. სვანიძე გედევან დავითის ძე, დაბ. 1895 წ. ს. ცხუპერი, ლანჩხუთის მაზრა, გლეხობიდან. სტუდენტი, მენშ. პარტიის წევრი 1917 წლიდან. მისამართი წყნეთის 34.
დედა პელაგია, 55 წ. დიასახლისი, ს. ცხუპერი. ძმა ბიკენტი, 19 წ. მიწათმოქმედი, და ბაბილინა, 30 წ. დიასახლისი. ცოლი ნინა, 25 წ. დიასახლისი, ტფილისი, წყნეთის 34. შვილი გივი — 2 წ. (ს/ს 1311)

154. პელიძე გრიგოლ სპირიდონის ძე, 28 წ. დაბ. სოფ. ბუგეული, გლეხობიდან, კოოპერატორი მიწათმოქმედი სოფ. ბუგეულში.
მამა სპირიდონი, 80 წ, გლეხი, ს. ბუგეული. ძმები სიმონი, 50 წ. გალაქტიონი, 35 წ. მუსიკოსი, და მარია, 18 წ. დიასახლისი, ცოლი დომნა, 24 წ. (ს/ს 1300).

155. იმნაძე სევერიან გიორგის ძე, დაბ. 1901 წ. ქ. ლანჩხუთში, გლეხობიდან, სპეც. ეკონომისტი, მენშ. პარტ. წევრი 1918 წლიდან. მისამართი ქ. ლანჩხუთი.
დედა აგათი, 45 წ. დიასახლისი, მამა გიორგი 68 წ. დები ოლია, 26 წ. ეფემია — 19 წ. მცხოვრები ლანჩხუთში (ს/ს 1300)

156. დგებუაძე ლევან ნიკოლოზის ძე, დაბ. 1896 წ. ს. გონიერი, თავადებიდან, სტუდენტი. მენშ. პარტიის წევრი 1917 წლიდან. მისამართი: ტფილისი, ვარდისუბნის 3.
მამა ნიკალა, 60 წ. აგრონომი. დედა ვარვარა, 50 წ. დიასახლისი, ძმები ნიკალა, 25 წ. სტუდენტი, ერასი 14 წ. მოსწავლე, დები იდა 17, ელიზავეტა 12 წ. მცხოვრები, ტფილისი, ნიკოლაძის 18.

157. ხინჯიკაშვილი ივანე ალექსანდრეს ძე, 22 წ. დაბ. ტფილისში, სტუდენტი, მენშ. პარტიის წევრი 1918 წლიდან, მისამართი: ტფილისი, ნიკოლაევსკის №18.
მამა ალექსანდრე, 59 წ., მუშა. დედა ელიზავეტა, 40 წ. დიასახლისი. ძმები: ნიკალა 18 წ. მოსწავლე, დიმიტრი 17 წ. მოსწავლე. და ანა 24 წ. დიასახლისი. მცხოვრები ტფილისი, ნიკოლაევსკის 18.

158. ყარალაშვილი სოლომონ გიორგის ძე, დაბ. 1869 წ. ტფილისში. ყოფილი გენერალ-მაიორი, სამხედრო მოსამსახურე. მისამართი: ტფილისი, კრილოვის 15.
ცოლი ფირუზა 36 წ. შვილი ნიკალა, 16 წ. მოსწავლე (ს/ს 127).

159. ღლონტი სიმონ ეფიმის ძე, 46 წ. წვრილი მესაკუთრე, გლეხობიდან სოფ. მელექედური, ოზურგეთის მაზრა, სპეციალობით პარიკმახერი, დაკავებულია სოფლის მეურნეობაში. მენშ. პარტიის წევრი 1902 წლიდან, მისამართი სოფ. მელექედური.
არავინ არა ჰყავს (ს/ს 137).

160. დვალი დავით სტეფანეს ძე, დაბ. 1875 წ. გლეხობიდან სოფ. პატარა ონი, მლესავი. მუშაობდა ავჭალის ჰიდროელსადგურის მშენებლობაზე. მენშევიკური პარტიის წევრი 1895 წ.
ცოლი ვალენტინა, 36 წ. დიასახლისი, ტფილისი, ფარკოვსკის №26, ძმა სპირიდონი, 55 წ. მეველე, ქ. სოხუმი.

161. მიქაძე ვარდენ ვანოს ძე, დაბ. 1884 წ. ს. სენიკოვი. ყოფ. ოფიცერი, სპეც. მასწავლებელი, მუშ. 1924 წ. ამიერ. რკინიგზაზე დაცვაში, მენშევიკური პარტიის წევრი 1904 წლიდან., მცხოვრები ტფილისში, ანდრეევსკის 77.
დედა პელაგია, 55 წ. დიასახლისი. მამა ბენო, 80 წ. მთესველი. მცხ. სენიკოვკაში. ძმა რომანი, 42 წ. ფოსტის თანამშრომელი, ტფილისში. და სოფიო, 34 წ, დიასახლისი ლანჩხუთში (ს/ს 130).

162. ხურციძე ბარნაბა სამსონის ძე, დაბადებული 1901 წ. ქუთაისის მაზრაში გლეხობიდან. სამხედრო მოსამსახურე. ქართული დივიზიის შტაბის მუშაკი. მცხოვრები ს. ურევში.
მამა სამსონი, 50 წ. გლეხი. დედა გაიანე, 45 წ. მცხოვრები ქუთაისში, ძმა — გრიგორი 14 წ. დები 15 წ. თამარი, 11 წ. მცხოვრებნი ქუთაისში (ს/ს 136).

163. ქურხული გიორგი ივანეს ძე, დაბ. 1896 წ. ქ. საგარეჯო, გლეხობიდან, მეფისა და მენშევიკური არმიის ყოფილი ოფიცერი. სტუდენტი, მსახურობს საქართველოს მილიციის სამმართ. მცხოვრები ტფილისში, სასახლის ქ. №6.
მამა ივანე 55 წ. მუშა, დედა მარია, 47 წ. დიასახლისი, ცოლი თამარა, 21 წ. შვილი ირაკლი, 2 წლის მცხოვრებნი ტფილისში, სასახლის 6.

164. ღლონტი ივანე ბეგლარის ძე, დაბ. 1888 წ. გლეხობიდან ს. გამოღმა მელადენური, საძოვრის უფროსი ოზურგეთში, მენშევიკური პარტიის წევრი 1904 წლიდან.
ცოლი ლეო, 33 წ. დიასახლისი, შვილები სოსო — 5 წ. კუკური 3 წ. ტატიანა 11 წ. ძმა ამაიაკო 62, მიწათმოქმედი მცხოვრებნი ს. გამოღმაში (ს/ს 673)

165. ჯანდიერი ალექსანდრე გიორგის ძე, 30 წ. დაბადებული ს. ახმეტაში, თელავის მაზრა. თავადაზნაურობიდან განსაზღვ. საქმიანობის გარეშე დაპატიმრებამდე ცხოვრობდა ახმეტაში.
დედა ვერა ალექსანდრეს ას., 29 წ. დიასახლისი. ცოლი ქეთევანი, 27 წ. შვილები ნატალია, 6 წ. ვერა, 4 წ. ნატა 1 წ. მცხოვრებნი ახმეტაში (ს/ს 1260).

166. კარანგოზიშვილი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე, დაბ. 1900 წ. თავადობიდან ქართული ჯავშნდივიზიის სამხედრო მოსამსახურე, მცხოვრები ტფილისში ელიზავეტის 146.
დედა ვიქტორია, 67 წ. დიასახლისი კიევში, ცოლი მარია, 23 წ. მცხ. ტფილისში, ელიზავეტის 146. ძმა ვიქტორი, 38 წ. უმუშევარი, ტფილისში, და ელენე, 36 წ. დიასახლისი. მცხოვრები გუკასოვის 15 (ს/ს 942)

167. ბახუტაშვილი ალექსანდრე რევაზის ძე, 30 წ. თავადაზნაურობიდან დაბ. ს. კიზნეხევში, თელავის მაზრა. სამხედრო მოსამსახურე, მცხოვრები ტფილისში, რეუტოვსკის ქ. №35.
არავინ არა ჰყავს (ს/ს 1420).

168. კაპანაძე ვარლამ გაბრიელის ძე, დაბ. 1890 წ. ს. სვირში. გლეხობიდან, სპეციალობა არა აქვს, დაკავ. ს/მეურნეობაში ს. სვირში, ქუთაისის მაზრა მენშ. პარტიის წევრი 1903 წლიდან.
მამა გავრილა 80 წ. მიწათმოქმედი, ს. სვირი, დედა მაკონა, 75 წ. ძმა ვიქტორი, 20 წ. ცოლი აგრაფინა, 25 წ. (ს/ს 1337).

169. ხოფერია მიხეილ გიორგის ძე, დაბ. 1903 წ. სენაკის მაზრაში, თავადაზ. სტუდენტი. მსახურობს ტფილისის სოფლის სამმართველოში, სტატისტიკის განყოფილებაში. მენშევიკური პარტიის წევრი 1921 წლიდან. მცხოვრები ტფილისში, რტიშევსკის ქ. №11.
ძმა სემიონ 27 წ. დები თამარი, 22 წ, დიასახლისი, მარია 29 წ. მცხოვრები ტფილისში. რტიშევსკის ქ. №11 (ს/ს 1332).

170. შურღაია მამანტი (შუქურა) ალექსანდრეს ძე, დაბადებული 1906. სენაკის მაზრა. ინტელიგენტი, მენშევიკური პარტიის წევრი. 18 წლიდან მცხოვრები ტფილისში, ბელინსკის №2.
მამა ალექსანდრე, 50 წ. ვაჭარი, დედა, აგრაფინა, 35 წ. ძმა ალექსანდრე, 5 წ. და ანნა, 20 წლის სწავლობს სენაკში (ს/ს 1303).

171. აბაშიძე შალვა თევდორეს ძე დაბ. 1898 წ. ქ. ქუთაისში თავადაზნაურობიდან, სტუდენტი, მუშაობს პროფკავშირის კანცელარიის მოხელედ. მენშევიკური პარტიის წევრი 1917 წლიდან მცხოვრები ტფილისში, ბაგრატიონის ქ. №3.
დედა ფედორი, 50 წ. მიწათმოქმედი. დედა პელაგია, 45 წლის. დიასახლისი, მცხოვრები ქუთაისში, და ენრეკანი, 19 წ. ძმები ვლადიმერი, 21 წ. სტუდენტი ტფილისში. სამეილი 17 წ. მოსწავლე ქუთაისში. სილოვანი, 10 წ. მოსწავლე ქუთაისში (ს/ს 1327).

172. მიქელაძე ნიკალა ლავრენტის ძე, დაბ. 1887 წ. ქუთაისში, თავადაზნ. ადვოკატი, მენშევიკური პარტიის წევრი 1917 წლიდან, მცხოვრები ბათუმში ინტერნაციონალის 31.
მამა ლავრენტი, 70 წ. ძმა გიორგი, 18 წ. მოსწავლე, და ნინა, 27 წ. მცხოვრები ქუთაისში. ცოლი ოლგა, 32 წ. მასწავლებელი ბათუმში, შვილი ზურაბი, 6 წლის (ს/ს 1361).

173. ციციშვილი სემონ მიხეილის ძე, დაბადებული 1903 წ. ქ. თელავი, სტუდენტი, ცხოვრობს ქ. თელავში.
დედა ანა, 60 წ. დიასახლისი, ძმები გიორგი, 30 წ. მასწავლებელი, ივანე, 27 წ. მიწათმოქმედი, და თამარი, 25 წ. რეგისტრატორი, მცხოვრები თელავში. (ს/ს 1317).

174. ადამია აკაკი ევგენის ძე. დაბ. 1899 წ. ს. ეკი, სენაკის მაზრა. ვაჭარი. ჰქონდა ღვინის სავაჭრო, ცხოვრობს სოხუმში, ჟულიაბინსკის ქ. №24.
მამა ევგენი, 58 წ. მთესველი, ს. ეკი.
დედა ერიმონა, 55 წ. დიასახლისი, ძმები, ვარდამი, 35 წ. ვაჭარი სოხუმში, გრიგორი, 23 წ. მოსწავლე; ვალენტინი, 16 წ. და მარია 27 წ. მცხოვრებნი ს. ეკში (ს/ს 1338).

175. ციტაშვილი გრიგოლ ჩიტოს ძე, 43 წ. დაბ. ს. ბასილეთში, გლეხობიდან მუშაობს ტფილტრამვაიზე, მენშევიკური პარტიის წევრი 1903 წლიდან; მცხოვრები ტფილისში, ნაზარეთის ქ. №3.
ცოლი ქეთო, 36 წ. დიასახლისი. მცხ. ტფილისში, დედა მართა, 87 წ. ს. ბასილეთი. შვილები: ქსენია 13 წ. მოსწავლე ტფილისში. ირაკლი 10 წ. მოსწავლე. ძმა ილიკო, 52 წ. მთესველი ს. ბასილეთში. (ს/ს 1282).

176. ანთაიანი თევდორე იოსების ძე დაბ. 1896 წ. ს. დერჩი. თავადაზ. მოსამსახურე, მენშევიკური პარტიის წევრი 1903 წლიდან, მცხოვრები ს. დერჩში, ლანჩხუთის მაზრა.
მამა იოსები 75 წ. მიწათმოქმედი, ს. დერჩი. ცოლი სონია, 30 წ. დიასახლისი. შვილები: ნატალია 2 წ. კუკური 1 წლის. ძმა დიმიტრი 35 წ. მიწათმოქმედი (ს/ს 1498).

177. გვარამია პეტო იოსების ძე. დაბადებული 1893 წ. ქუთაისის მაზრა. გლეხობიდან სტუდენტი, მენშევიკური პარტიის წევრი 1912 წლიდან. მცხ. ქუთაისში.
დედა ქეთო, 59. წ. დიასახლისი, ცოლი ნინა. 28 წ. მასწავლებელი. ძმები გრიგორი, 21 წ. სტუდენტი, ალექსანდრე, 16 წ. მოსწავლე, ირაკლი, 8 წ. მოსწავლე ქუთაისში. (ს/ს 1498).

178. მენაბდე გიორგი სიოს ძე, 25 წ. დაბ. ოზურგეთში გლეხობიდან. მოსამსახურე, მუშაობდა შიკრიკად. ცხოვრობს ტფილისში, ანასტასიევის ქ. №13.
დედა ფეოდოსია, 55 წ. დები თამარა, 27 წ. მასწავლებელი, ბათუმში. ქეთო, 24 წ. ქუთაისი, ძმები: გრიგორი, 20 წ. ტფილისში. შალიკო, 22 წ. მილიციელი დუშეთში, ნიკალა, 28 წ. უმუშევარი. (ს/ს 1373).

179. ჯაში ისიდორე სამსონის ძე, დაბ. 1903 წ. ს. ქვემოუბანი გლეხობიდან, შავი მუშა, მუშაობდა ნავთლუღის სადგურზე მენშევიკური ორგანიზაციის წევრი 1917 წლიდან, მცხ. ტფილისში.
დედა სოფიო, დიასახლისი, ქვემოუბანი, ძმა სერგო, 18 წ. მოსწავლე, და მარია, 14 წლის. მოსწავლე (ს/ს 1373)

180. დოლბაია ვლადიმერ მარკოზის ძე, 46 წ. დაბადებული. ს. ხობში, მსახურობს 1921 წლიდან, დაპატიმრების დღემდე მუშაობდა სხვადასხვა ადგილას ზუგდიდის მაზრაში. ცხოვრობს ხობში.
ცოლი ქრისტინე, 37 წ. ხობი შვილები: გუგუ, 11 წ. ალექსანდრე, 8 წ. ბადო 4 წ. ხოხორი, 2 წ. (ს/ს 1302).

181. სადრაძე ილია ვასილის ძე, დაბ. 1899 წ. ქ. ოზურგეთში მიწათმოქმედი, უკანასკნელ დროს დაკავებული იყო კომერციით. ცხოვრობს ოზურგეთში, თავისუფლების ქ. №25.
მამა ვასილი, 60 წ. მიწათმოქმედი. დედა მატრონა, 55 წ. დიასახლისი, ძმები ევგენი, 29 წ. მიწათმოქმედი, ლეონიდე, 12 წ. მოსწავლე, და მარგარიტა, ყველანი ცხოვრობენ ოზურგეთში, თავისუფლების 25. (ს/ს 1310).

182. ურუშაძე ვასილი ალმასტის ძე, დაბ. 1891 წ. ქ. ქუთაისში, გლეხობიდან, სტუდენტი. მცხოვრები ქუთაისში.
დედა ბაბილო, 60 წ. დიასახლისი ქუთაისში. (ს/ს 1498).

183. გრძელიძე პამფილე თედორეს ძე, 45 წ. დაბადებული ს. ბარში, რკინიგზის კონდუქტორი, მუშაობდა შავ მუშად. მენშევიკური ორგანოს წევრი 1905 წლიდან. ცხოვრობს ქ. ქუთაისში.
ცოლი პელაგია, 28 წ. დიასახლისი, ქუთაისი, შვილები გივი, 2 წლის, ელენე 4 წ. ძმა ილარიონი, 52 წ. მიწათმოქმედი ს. ბარში. (ს/ს 1498).

184. ნაკაშიძე ერასტო ბეჟანის ძე, დაბ. 1884 წ. ს. ეწერში. ინტელიგენტი საქმის მწარმოებელი. მსახურობს ს. დიდ ჯიხაიში, საქონელმცოდნე. მცხოვრები ს. ეწერში.
ცოლი სოფიო, 39 წ. დიასახლისი. ს. ეწერი. შვილები ალექსანდრე 18 წ. მოსწავლე, მერი 14 წ. ქსენია 10 წ. (ს/ს 1350).

185. ნიკურაძე კირილე სოლომონის ძე, დაბ. 1900 წ. ს. სამტრედია. სტუდენტი. მცხოვრები სამტრედიაში.
დედა ნინა, 56 წ. ძმები: რაჟდენი, 30 წ. [illegible] ს. სამტრედიაში. (ს/ს 1350).

186. კახაძე გრიგოლ რაჟდენის ძე, დაბ. 1903 წ. ს. სამტრედიაში, მასწავლებელი, მცხოვრები სამტრედიაში.
დედა მარია, 52 წ. დიასახლისი, მამა რაჟდენი, 57 წ. მიწათმოქმედი, და ელენე, 24 წ. ძმა ივანე, 20 წ. [illegible] მცხოვრები ს. ჯიხაიში. (ს/ს 1350).

187. ტაბიძე ისიდორე ივანეს ძე, დაბ. 1885 წ. ს. ჭყვიში, მოსამსახურე, ჩინოვნიკი, მცხოვრები [illegible].
ცოლი პოლინა, 26 წ. დიასახლისი. შვილები ქეთევანი, 6 წ. გოგი 3 წ. მცხოვრები ჭყვიში. (ს/ს 1350).

188. რუსია ირაკლი ათანასეს ძე, 48 წ. დაბადებული ს. სამტრედიაში. მცხ. სამტრედიაში.
ცოლი ქეთევანი, 30 წ. შვილები: გიორგი 7 წ. ლელა, 5 წ. მამა ათანასე 80 წ. და ანა, 32 წ. დიასახლისი ს. სამტრედია (ს/ს 1350)

189. ჟვანია სევერიანე ოქროპირის ძე, 52 წ. ქუთაისის მაზრა, ს. ჯიქეთში, მუშა, მცხოვრები ჯიქეთში.
ცოლი მარია 45 წლის შვილები: ალექსანდრე, 18 წ. აკაკი, 22 წ. მიწათმოქმედი მცხ. ჯიქეთში. (ს/ს 1350).

190. ძიძიგური ივანე იოსების ძე. დაბადებული 1894 წ. ს. გლოლში, მუშა, რკინიგზის შემაკეთე, უკანასკნელ დროს დაკავებული იყო სოფლის მეურნეობით გლოლში.
ცოლი ოლგა, 24 წ. დიასახლისი. შვილი თეიმურაზი, 1 წ. დედა ეკატერინე 60 წ. მამა ივანე, 90 წ. მცხოვრებნი ს. გლოლში (ს/ს 1350).

191. გეგიძე ალექსანდრე გრიგოლის ძე. დაბ. 1888 წ. ქ. ახალქალაქი, პროკურორის თანაშემწე, მცხოვრები სადგურ საჯავახოში.
ცოლი მარია, 30 წ. დიასახლისი. სად. საჯავახო.
ძმები: ვლადიმერი, 23 წ. სტუდენტი, ტფილისში, სიმონი, 40 წ. პროკურორი სამტრედიაში (ს/ს 1350).

192. აბრამიძე ვასილ ნიკოლოზის ძე, 50 წ. დაბადებული ს. სამტრედიაში, მოსამსახურე, კონდუქტორი, მცხოვრები ს. სამტრედია.
ცოლი ანა, 45 წ. დიასახლისი. შვილები ნიკალა, 20 წ. ვალერია 16 წ. მარია 3 წ. (ს/ს 1350).

193. მინაშვილი არსენ ოქროპირის ძე, 41 წ. დაბადებული ს. ტაბაკინი, მუშა, მცხოვრები სოფელ ტაბაკინში, სამტრედიის რაიონი.
შვილები ლუდმილა 13 წ. მოსწავლე, ანა 10 წ. მოსწავლე, ნიკალა, 8 წლის. მამა ოქროპირი, 75 წ. დედა ირინე, 70 წ. მცხოვრები ტაბაკინში. (ს/ს 1350).

194. გეგეჩკორი ლავრენტი ექვთიმეს ძე. დაბადებული 1880 წ. ს. ტაბაკინი, ექიმი, მცხოვრები ტაბაკინში.
დედა პელაგია, 65 წ. დიასახლისი. მამა ექვთიმე, 80 წ. მიწათმოქმედი. ძმა გრიგორი, 21 წ. არმიელი, მცხოვრები ს. ტაბაკინში (ს/ს 1350).

195. ღორჯომელაძე სოლომონ ზაალის ძე, 57 წ. დაბადებული სოფელ დიდ ჯიხაიში, გლეხობიდან, ბოლო ხანებში დაკავებული იყო ვაჭრობით. ცხოვრობს ს. დიდ ჯიხაიში.
ცოლი მარია, 58 წ. მცხოვრები დიდ ჯიხაიში. შვილები ევა, 24 წ. ქსენია, 19 წ. ნოე, 25 წ. (ს/ს 1312).

196. გედევანიშვილი ავთანდილ ალექსანდრეს ძე, დაბადებული 1904 წ. ს. წეროვანში, თავადაზნაურობიდან. სამხედრო უნივერსიტეტის სტუდენტი. თანამშრომლობდა გაზეთ „ერთობის" რედაქციაში, ცხოვრობდა ტფილისში, ვორონცოვის ქ. №14.
მამა ალექსანდრე 70 წ. დედა სოფიო, 55 წ. დიასახლისი, ს. წეროვანი, ძმები: ლევანი, 42 წ. მასწავლებელი. რუსო, 37 წ. აგრონომი შეხებაში, და, 29 წ. დიასახლისი ტფილისში. (ს/ს 1290).

197. ჩხეტია გიორგი მიხეილის ძე, დაბადებული 1894 წ. ახალ სენაკში, თავადაზნაურობიდან, მუშაობდა მუშად შენებლობაზე, უკანასკნელ დროს მუშაობდა მილიციაში. ტფილისში, ცხოვრობს სენაკის ქუთაისის ქ. № 7.
მამა მიხეილი, 60 წ. მიწათმოქმედი, დედა მინია, 63 წ. და ილარია, 31 წ. ცხოვრობენ სენაკში, ქუთაისის ქ. №7 (ს/ს 1362).

198. რუხაძე ილარიონ შიოს ძე, დაბადებული 1875 წ. კუტაისი, გლეხობიდან მუშა, 1923 წლიდან ცხოვრობს არალეგალურად, ოჯახი არ ჰყავს.
დედა ელიზაბეტა, 65 წ. ცოლი მარია 35 წ. ცხოვრობენ ს. კუტაისში (ს/ს 1298).

199. გაგნიძე ფილიპე ივანეს ძე, დაბადებული 1888 წ. ქ. თელავში გლეხობიდან, სპეციალობით მეწაღე, ცხოვრობს თელავში.
დედა ეკატერინე, 80 წ. და გრიგორ გაგნიძე, 42 წ. შავი მუშა; დები ნინო, 50 წ. დიასახლისი, ლიზა, 46 წ. ლიზა 68 წ. ლიზა მიქაძე, 46 წ. მცხოვრებნი თელავში. (ს/ს 1298).

200. გარეჯილაძე ამბროსი ნიკოლოზის ძე, დაბადებული 1899 წ. ს. გურიაში, გლეხობიდან, აგრონომი-ინსტრუქტორი თელავის რ/ში. მცხოვრები თელავში, აბაშიძის ქ. №9.
მამა ნიკოლოზი, 80 წ. მიწათმოქმედი, დედა ელისაბედი, 55 წ. დიასახლისი, ძმა ირაკლი, 32 წ. ტფილისში, ტასიკო, 27 წ. გალენტინი, 35 წ. მარტყოფში, ფეოდოსია, 25 წ. ვალენტინა, ცოლი ელენე, 25 წ. გურიაში (ს/ს 1298).

საარქივო მასალები თარგმნა და დასაბეჭდად მოამზადა
მაია თოზიაშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საარქივო დოკუმენტები მოგვითხრობენ



# ბრძანება № 4

## საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

§ 1.

[illegible]

§ 2.

[illegible]

§ 3.

[illegible]

§ 4.

[illegible]

რევკომის თავმჯდომარე
მ. ორახელაშვილი.

სამხედრო და საზღვაო საქმეთა
სახალხო კომისარი შ. ელიავა.

მდივანი მიქაძე

1921 წ. მარტის 1.
ქ. ტფილისი — სასახლე.

# შეიქმნა „ღების სადროშო“

ქართველი დალხინებული როდის ყოფილა, დღეს რომ იყოს. გვიჭირს მთიანი რაჭის მკვიდრთაც.

ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩამოგვეყალიბებინა ღების სადროშო. ვაგროვებთ თანხას გზების, ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის, ხელმოკლე ოჯახების დასახმარებლად.

გაიხსნა ღების სადროშოს ანგარიში: **ივერთბანკი, მრეწვმშენბანკის საოპერაციო სამმართველო — № 006161700, 700163.** სადროშოში გაწევრიანება შეუძლია თბილისში, რუსთავში, გარდაბნის რაიონში მცხოვრებ ღებელებს და საერთოდ, ყველა მსურველს, შემდეგ მისამართზე: **ვაჭრობის მუშაკთა კულტურის სახლი (მეტრო „მარჯანიშვილთან“) 1991 წლის 24 თებერვალს, 12 საათზე.**

# ვითარება ცხინვალში

21 თებერვლის საღამოს 8 საათიდან 22 თებერვლის დილამდე საქართველოს მილიციის შტაბს ავტოინსპექციის სამუშაოსთან და სოფელ თამარაშენს ცეცხლს უშენდნენ ოსი ექსტრემისტები.

სროლა დაიწყო ცხინვალის სასაფლაოსთან და ქალაქის საცხოვრებელი კვარტალების მხრიდან, მაგრამ ცხინვალის მილიციის საქალაქო განყოფილების მუშაკები შეეცადნენ სროლის ატეხვა გადაებრალებინათ საქართველოს მილიციის მუშაკებისათვის. ბედად, ჩვენს შტაბში აღმოჩნდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი პრესცენტრის ხელმძღვანელი ალექსანდრე როსტოვცევი, რომელმაც დაადასტურა ექსტრემისტების მხრიდან სროლის დაწყების ფაქტი.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის ნაწილმა 21 თებერვალს ჯავის რაიონში ამოიღო 4 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება. მათვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ორგანოებს გადასცეს იმ რაკეტებისა და ნაღმების ნაწილები, რომლებიც ექსტრემისტებმა 17 თებერვალს დაუშინეს ცხინვალის რაიონის სოფელ სვერს.

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.**

საქინფორმი

### ლენინიდან... დისნეიმდე

როგორ ფიქრობთ, არსებობს კავშირი ლენინსა და დისნეის შორის? ნუ იჩქარებთ უარყოფითი პასუხის გაცემას. რადგან, როგორც „მეგაპოლის-ექსპრესი“ № 3, 1991 წ.) იუწყება, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თანამშრომლებმა, დიდი მოწადინების შემდეგ, რალაცით მაინც შეძლეს ამ ორი სრულიად სხვადასხვა განზომილების მქონე სახელის დაკავშირება.

საქმე ისაა, რომ მუზეუმში წლების მანძილზე უჩვენებდნენ დოკუმენტურ ფილმს ლენინზე, სადაც „ცოცხალი“ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადიც გაიელვებდა ხოლმე. მაგრამ მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ დღევანდელ მდგომარეობამდე სწორედ „ლენინურმა კურსმა“ მიიყვანა ქვეყანა, მაყურებელთა ნაკადმა ძალზე იკლო.

მუზეუმის თანამშრომლები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერაფრით მიიზიდეს მაყურებელი, მაგრამ ბოლომდე ფარ-ხმალი მაინც არ დაუყრიათ, სასკოლო არდადეგების დროს კიდევ ერთხელ „გაიბრძოლეს“ და... მოსკოველებსა და დედაქალაქის სტუმრებს „ცოცხალი ლენინის“ ნაცვლად უოლტ დისნეის მულტფილმები შესთავაზეს.

მართალია, დარბაზი ამჯერადაც სანახევროდ ცარიელი აღმოჩნდა (რა იცოდა მაყურებელმა, რაზე მიდიოდა), მაგრამ ბავშვებმა კი ძალიან გაიხარეს — ხუმრობა საქმეა, ლენინთან მისული დისნეისთან რომ მოხვდები?

### მარქსის ნაცვლად — შოუ

უკრაინაში. კომპარტიის ხერსონის საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებით, მარქსიზმ-ლენინიზმის საქალაქო უნივერსიტეტი საინფორმაციო-პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად გადააკეთეს.

ცენტრის დირექციის ოფიციალური განცხადებით, აქ ისწავლიან სხვადასხვა, მათ შორის კომპარტიის ოპოზიციური, პარტიების წარმომადგენლები. საღამოობით კი ამავე შენობაში ფასიანი კონცერტები და შოუ გაიმართება.

### ნარკომაფიამ ციმბირში ჩაალწია

დასავლეთის სპეციალისტების პროგნოზების მიხედვით, უახლოეს მომავალში ციმბირი შეიძლება ნარკომაფიის უმსხვილეს ბაზრად გადაიქცეს. ომსკის მილიციის სკოლაში უკვე შექმნილია ამ ბოროტებასთან ბრძოლის ცენტრი.

### ჯერჯერობით მსხვერპლი არ ყოფილა

„მოსკოვსკიე ნოვოსტის“ (№ 7, 1991 წ.) ცნობით, ძირჟინსკის რამდენიმე სკოლაში მოსწავლეებმა უჩვეულო თამაში წამოიწყეს. ახლა სკოლის ყველა სართულსა და კიბის ბაქანს თავისი სახელი აქვს — „ერაყი“, „ქუვეითი“, „საუდის არაბეთი“, „ისრაელი“... მოკავშირეთა ძალებისა და ერაყის მომხრეებად დაყოფილი ბავშვები ერთმანეთს ჩანთებს ესვრიან. ჯერჯერობით მსხვერპლი არ ყოფილა. მასწავლებლები კრიზისიდან გამოსვლის გზებს ეძებენ.

# სხვა გაზეთებიდან

### „მამაკაცებო, გაერთიანდით!“

„რაბოჩაია ტრიბუნამ“ (№ 36, 1991 წ.) ვინმე სერგეი ლობანოვის ძალზე ემოციური წერილი მიიღო. ავტორი უკანასკნელ ხანებში სსრ-კში ქალთა სერიოზულ გააქტიურებას უჩივის — თუ საზღვარგარეთ ფემინისტური ორგანიზაციები საზოგადოებრივ საწყისებზე არსებობენ, სსრკ-ში ისინი ლამის პირდაპირ შეეზარდონ სახელმწიფო სტრუქტურებსო.

ხომ არ არის ეს სახელმწიფო ფემინიზმის პოლიტიკა? —სვამს კითხვას ლობანოვი და მოუწოდებს მამაკაცებს: „გაერთიანდით! შევქმნათ მამაკაცთათვის მრავალრიცხოვანი ჟურნალები, კლუბები, კომიტეტები, რომლებიც მამაკაცის, მეუღლის, მამის უფლებებს დაიცავენ!“.

„რაბოჩაია ტრიბუნას“ რედაქცია მშვიდად ურჩევს წერილის ავტორს: იქნებ, არ ღირდეს ამის გაკეთება, რადგან, მერწმუნეთ, რაც მეტი უფლებები ექნებათ ჩვენს ქალებს, მით უფრო ლაღად და მხიარულად იცხოვრებენ მამაკაცებიო.

საინტერესოა, რამდენად გაიზიარებენ ამ აზრს ძლიერი სქესის წარმომადგენლები?..

### საბაზრო ეკონომიკის „მსხვერპლი“

აი, როგორ გაიგო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა სოფელ ასტრახანკის მცხოვრებმა ქალმა, ვინმე ფ-მ: მან საკუთარი ერთი თვის ბავშვი გაყიდა... ასმანეთიან კოსმეტიკურ ნაკრებად, საცვლებად, ჯინსის ქვედაკაბად და იაფასიან გულსაკიდად.

გაზეთ „ტრუდის“ (№ 40, 1991 წ.) ცნობით, ხანკაის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებას ბავშვის დაკარგვის ამბავი თავად დედამ შეატყობინა — მომტაცესო. მაგრამ ოპერატიული სამსახურის მუშაკებს არ გასჭირვებიათ ჭეშმარიტების დადგენა: ფ-მ შვილი უშვილო ოჯახს „მიასალა“, რომელმაც ის სასწრაფოდ დაუბრუნა „შეწუხებულ დედიკოს“.

სასამართლომდე საქმე არ მისულა, რადგან სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი მუხლი არ არსებობს.

### იქნებ, ბომბები დაგვეთესა?

ასე ფიქრობენ მოგილიოვის ბაზა „ობლკოოპხოზტორგში“, სადაც მთელი ვაგონი... ბომბები მიიღეს. თუმცა სულ მალე გაირკვა, რომ ტვირთს არავითარი კავშირი არ ჰქონდა არც ამ ბაზასთან და არც საერთოდ, სოფლის მეურნეობასთან. „ობლკოოპხოზტორგმა“ ბომბები კი არა საკვების დასაქუცმაცებელი შეუკეთა.

ვის ეკუთვნის ბომბები? ეს კითხვა ჯერჯერობით უპასუხოდ რჩება. თუმცა როგორც „კომსომოლსკაია პრავდას“ (15 თებერვალი, 1991 წ.) კორესპონდენტი ვარაუდობს, ეს სამხედრო კონვერსიის ხრიკები უნდა იყოს და ამდენად ძნელი სათქმელია, ხვალ სად მოხვდება ბომბების დანარჩენი ვაგონები.

### ჰუმანოიდო, დაუხვი ბედედი!

ჩიტაში, საბავშვო ფონდის ადგილობრივი განყოფილების გაერთიანება „კომპასთან“ არსებულმა დაზღვევის კომპანიამ მსურველებს შესთავაზა, დაეზღვიონ... უცხოპლანეტელებისაგან. გინდა 100 ათასი მანეთი? შემოიტანე დაზღვევის თანხა, დაჯექი და დაელოდე თეფშს.

„კომსომოლსკაია პრავდას“ (№ 40, 1991 წ.) კორესპონდენტის კითხვაზე, როგორ დაადგენთ, რომ კლიენტი მართლა თეფშმა გაიტაცა, იქნებ მთელი კვირა, ხალხს რომ დაკარგული ეგონა, სულაც სადმე გადაბმულად ლოთობდაო, კომპანიის თავმჯდომარემ ასე უპასუხა:

— თუ ახსნა-განმარტებები დამაჯერებელი არ აღმოჩნდება, მაშინ კლიენტს სასამართლო წესით მოუწევს მათი დამტკიცება. ჩვენ ზღაპრები კი არა, ფაქტები გვჭირდება.

აი, თურმე რა ყოფილა: იწანწალე გალაქტიკიდან გალაქტიკაზე? ძალიან კარგი, მაშ კეთილი ინებე და ცნობაც წარმოადგინე, თანაც მთავარი ჰუმანოიდის ხელმოწერითა და ბეჭდით...

### სამხედროების კიდევ ერთი ამპლუა

ბაიკალისპირეთის სამხედრო ოლქში გახსნილია ჯარისკაცთა ერთი ჯგუფის შეთქმულება. მათ სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავი უნდა გაეტაცებინათ. რეისი ასეთი ჰქონდათ — ულან-უდესან-ფრანცისკო, სამხედრო ნაწილიდან აეროპორტამდე მისვლას კი ტანკით აპირებდნენ. სამხედრო ტერორისტები, ყველა სიკეთესთან ერთად, ნარკომანებიც აღმოჩნდნენ.

### ძროხებს წველიან... ქარხნები ჩერდება

ჩიტის ოლქში, ელექტროენერგიის დეფიციტის გამო, დღე-ღამეში რამდენიმე საათს ყველა სამრეწველო საწარმო ჩერდება. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ საოლქო საბჭოს აღმასკომმა დილისა და ღამის მაქსიმუმებში ოლქის მთელი წარმოების გაჩერება მოითხოვა. ამის გარეშე სოფლების ფერმებში ვერ ხერხდება... ძროხებს ელექტროწველა.

### ყველაზე, ყველაზე...

სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტებისა და გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ: ჩოგბურთელი გაბრიელა საბატინი (არგენტინა) „ყველაზე ლამაზია“, მორბენალი-სპრინტერი მერლინ ოტი (იამაიკა) — „ყველაზე ტანადი“, მოცურავე კრისტინ ოტო (გერმანია) — „ყველაზე ბედნიერი“, მოცურავე კრისტინა კრანკე (გერმანია) — „ყველაზე გულახდილი“, ჩოგბურთელი შტეფი გრაფი (გერმანია) — „ყველაზე ეული და ყველაზე ძუნწი“, კალათბურთელი ორტენზია მარკარი (ბრაზილია) კი — „ყველაზე ვნებიანი“.

## წერილები რედაქციას

# პასუხის პასუხი

ამ ცოტა ხნის წინათ რესპუბლიკურ გაზეთებში დაიბეჭდა ჩემი წერილები „პარტიის ქონება — ხალხს“ და „ჩარაზული ბაღი“, რომლებიც, ბუნებრივია, ბევრს არ ეპიტნავა. განსაკუთრებით გააწიწმატა ამ წერილებმა საქართველოს ე. წ. დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე ბ-ნი სერგო რიგვავა, რომელმაც ექვსგვერდიანი პასუხი გააშანშალა. ალბათ, მკითხველი გაეცნობოდა გაზეთ „ცხოვრებაში“ დაბეჭდილ პასუხს, რომელშიც ბატონი სერგო კომუნისტურ პარტიას დიდი ილიას და სხვა პროგრესულად მოაზროვნე ქართველ მოღვაწეთა ბევრი ოცნების განმახორციელებლად ასაღებს და რომელსაც უკვე გასცა საკადრისი პასუხი გაზეთმა „ახალგაზრდა ივერიელმა“ 21 თებერვლის ნომერში. მთავარი ბრალდება, რომელსაც „ინტერნაციონალისტი“ რიგვავა მიყენებს, ჩემი სომხობაა. დიახ, მე სომეხი ვარ, თბილისელი სომეხი, და ამით ვამაყობ, ჩემი წინაპარნი თბილისში დაიბადნენ და აქ არიან დაკრძალულნი, მათგან შევისისხლხორცე სიყვარული იმ ერისადმი, რომელმაც ჩვენ შეგვიფარა და გვიპატრონა, მათგან შევისისხლხორცე სულგრძელ ქართველთა ბრძნული შეგონება: „წაქცეული კაცის ჩაწიხლვა სირცხვილიაო“, და სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამდენ ხანს თავს ვარიდებდი პასუხის გაცემას წაქცეული პარტიის ქომაგის ბატონი სერგოს უსუსურ და ღვარძლიან წერილზე.

ესაა და ეს.

**რემ დავიდოვი,**
**საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს“ — საქინფორმის კორესპონდენტი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

# გავდივარ პარტიიდან

ყველას ფიცი მწამს, მაგრამ ბოლო მაკვირვებს, ამიტომაც გავდივარ საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგებიდან.

„სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“.

**ზოჯენა ახვლედიანი.**
**მარტვილის რაიონის სოფელ ინჩხურის საშუალო სკოლის დირექტორი.**

# ალორძინება არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საარქივო დოკუმენტები მოგვითხრობენ**

## ბრძანება № 51

**საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.**

საქართველოს წითელი არმიის უმცროს მეთაურთა (თოფის და ოცის თავები) მოსამზადებლად დაარსდეს ქ. ტფილისში ყოველგვარი ჯარის „ქართული მეთაურთა კურსები“ რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სამხედრო სასწავლებლების ტიპისა, შემდეგ საფუძველზე:

1. კურსების შემადგენლობა შევსებულ იქნეს ყველა კატეგორიის ყოფილ ნაცვლით (ზემდეგნი ნაცვლები, თამდეგნი) 25—35 წლ. გარჩევით, მუშებისა და გლეხების წრიდან.

2. მეთაურთა კურსების ცვალებადი შემადგენლობის რაოდენობა განისაზღვრება, მომენტის მოთხოვნილების მიხედვით, 600 კაცით.

3. ნორმალური სწავლის ვადა მეთაურთა კურსებზე უნდა იქნეს ერთი წლიწადი, ხოლო იმ მიზნით, რომ მალე შევსოს საქართველოს წითელი არმია წითელი უფროსებით; წინადადება ეძლევა სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარს დანიშნოს რაც შეიძლება მოკლე ვადა პირველი კურსების დამთავრებისა.

4. ყოველგვარი სწავლება როგორც სამოსწავლო, ისე სამწყობრო უნდა სწარმოებდეს ქართულ ენაზე.

**შენიშვნა:** სამხედრო სპეციალისტების კომისია დაუყოვნებლივ შეუდგეს სამხედრო სასწავლო სახელმძღვანელოების და დებულებების ქართულ ენაზე გადათარგმნას.

5. მეთაურთა კურსებზე შესვლისათვის საჭიროა წერა-კითხვის ცოდნა ქართულ და რუსულ ენაზე, გადაცემა წაკითხულისა, შესაძლებლობისამებრ რუსულ ენაზედაც, და არითმეტიკის ოთხი მოქმედების ცოდნა.

6. ზემოაღნიშნულის შესასრულებლად სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარი დაუყოვნებლივ შეუდგეს მეთაურთა კურსების საჭირო შტატის შედგენას და დებულების შემუშავებას და იზრუნოს როგორც მასწავლებელთა პერსონალისა, ისე სადმინისტრაციო სამეურნეო ნაწილის თანამდებობის პირთა მოწვევისათვის.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სამხედრო და საზღვაო საქმეთა
სახალხო კომისარი **შ. ელიავა.**

რევკომის მდივანი **შ. [illegible].**

**1921 წ. მარტის 14.**

---

კოოპერატიული ფირმა „ბახტრიონი“ იწვევს ტურისტებს სამოგზაუროდ გემით „შოთა რუსთაველი“ მიმართულებით ბათუმი-სტამბული-პირეი-ბათუმი. მოგზაურობის ღირებულების გადახდა ხდება როგორც საბჭოთა ფულით, ასევე კონვერტირებული ვალუტით. გასვლა ბათუმიდან 23/IV და 3/V, მოგზაურობის ხანგრძლივობა 10 დღე.

ცნობებისათვის მიმართეთ ფირმა „ბახტრიონს“ ქ. თბილისი, წყალსადენის ქუჩა № 7 (ავჭალა).

---

**რეკლამა**

ახალგაზრდობის საქმიანი და შემოქმედებითი ინიციატივების ასოციაცია „იბერი“, რომელსაც საქმიანი ურთიერთობა აქვს მთელ რიგ ამერიკულ ფირმებთან, სახელმწიფო ორგანიზაციების, კოოპერატივების, დაწესებულებების, კერძო პირების საყურადღებოდ **აცხადებს**, რომ მათი სურვილისამებრ ასოციაციას შეუძლია შესაბამისი დახმარება გაუწიოს სამრეწველო ნაწარმის გაყიდვაში მსოფლიო ბაზარზე. ასევე დაეხმაროს მათ უცხოური წარმოების დანადგარების, ტექნიკის, ავტომანქანების სამრეწველო საქონლის და კვების პროდუქტების შესყიდვაში, როგორც საბჭოთა მანეთებზე, ასევე კონვერტირებულ ვალუტაზე.

**ჩვენი მისამართია, ბარათაშვილის ხიდი, ასოციაცია „იბერი“. ტელ: 98-79-90, 98-78-92.**

## მეგობრები არ ივიწყებენ...

...7 მაისს 21 წლისა უნდა გამხდარიყო. არ დასცალდა... წელიწადზე მეტია, რაც გურამ ლორთქიფანიძე აღარ არის. წელიწადზე მეტია, რაც მისი მშობლების, ძმის და უამრავი მეგობრის გულებში სევდაა ჩაბარხული...

საკმაოდ პერსპექტიული მეკარე იყო, ოცნებაც აუხდა — თბილისის „დინამოში“ მიიწვიეს, სადაც დუბლიორთა შემადგენლობაში გამოდიოდა, იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც ჭაბუკებს შორის... მაგრამ, უფრო მეტის მიღწევა ვეღარ შეძლო...

გურამის მეგობრები, რომლებთანაც თამაშობდა 35-ე საფეხბურთო სკოლაში, ამჟამად წარმატებით იცავენ საქართველოს სხვადასხვა გუნდების ღირსებას. და აი, მეგობრებმა მეტად კეთილშობილურ საქმეს მოკიდეს ხელი — მათი ინიციატივით გასულ კვირას, არმიის სპორტული კლუბის დარბაზში სტარტი აიღო მინი-ფეხბურთის ტურნირმა ნორჩებს შორის (1977 წელს დაბადებულნი) რომელიც გურამ ლორთქიფანიძის სახელს ატარებს. მეგობრებთან ერთად გურამ ლორთქიფანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირს მეფობას უწევს 35-ე საფეხბურთო სკოლაც (დირექტორი — ბატონი ანდრო თურქია). აქვეა გურამის პირველი მწვრთნელიც — ზურაბ მაისურაძე...

...ნორჩების ტურნირში სულ 8 გუნდი იღებს მონაწილეობას, რომლებიც ორ ჯგუფში არიან განაწილებულნი.

I ჯგუფი: „მერანი“, „დელისი“, „ლომები“ და „ნორჩი იბერიელი-II“.

II ჯგუფი: „სამება“, „ფეიქარი“, „ნორჩი იბერიელი-I“ და „სინათლე“.

ჯერჯერობით ორივე ჯგუფში ორი ტურია გამართული და უკვე გამოიკვეთნენ ლიდერები — „ლომები“ და „მერანი“ (I ჯგუფი) და „სამება“ (II ჯგუფი).

ხვალ, იმავე სპორტდარბაზში (რომელიც მდებარეობს სპორტკომპლექს „ქარიშხალას“ გვერდით) ჯერ გაიმართება ბოლო ტურის შეხვედრები, შემდეგ კი ყველა გუნდი გაითამაშებს ადგილს პირველიდან მერვემდე. აღსანიშნავია, რომ ტურნირის ორგანიზატორებს დაწესებული აქვთ სხვადასხვა ინდივიდუალური პრიზები, რომლებიც გადაეცემათ საუკეთესოებს შეჯიბრების დამთავრების შემდეგ.

მაშ ასე, ფეხბურთის მოყვარულთ გიწვევთ არმიის სპორტული კლუბის დარბაზში გურამ ლორთქიფანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ნორჩების ტურნირზე (დასაწყისი 10 საათზე).

### რეკლამის მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ რეკლამებისა და განცხადებების შესაკვეთად მიმართეთ სარეკლამო-სააგენტო „არგო-ბლიკს“.

**მისამართი:** თბილისი, ბუდაპეშტის ქ.№1.

**ტელეფონი:** 37-06-64 ან 37-58-25 (11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე დასვენების დღეების გარდა).

საყოფაცხოვრებო შინაარსის განცხადებების გამოქვეყნების მსურველებმა („ვცვლი ბინას“, „გვესაჭიროება“, „ვყიდი“, „ვყიდულობ“, „ვასწავლი“, „ვაქირავებ“ და ა.შ.) მოგვმართეთ 15.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.

შეგახსენებთ, რომ ორგანიზაციებისათვის გადასახადი 1 კვ.სმ-ში 4 მანეთია, კერძო პირებისთვის — 2 მანეთი.

**სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“**

### ძვირფასო თანამემამულენო!

სამ წელიწადზე მეტია ლელა დავითის ასული ჭელიძე იმედის თვალით შესცქერის ექიმებს, რომლებიც უძლურნი აღმოჩნდნენ განკურნონ საშიში დაავადება, რომელიც ლეიკოზის სახელითაა ცნობილი მედიცინაში.

იყოჩაღეს ლელას მოსწავლეებმა, უახლოესმა გულშემატკივრებმა, კეთილშობილმა უცნობმა ადამიანებმა და მის სახელზე ჩოხატაურის აგრომრეწვბანკში **გახსნილია საქველმოქმედო ანგარიში — 71101**. ამ ანგარიშზე ჯერჯერობით ჩარიცხულია დაახლოებით იმ თანხის მეათედი, რაც საჭიროა საზღვარგარეთ გასამგზავრებლად და სამკურნალოდ. საქველმოქმედო ანგარიშზე ჩაირიცხება როგორც საბჭოთა მანეთი, ასევე ვალუტა.

იქნებ გაგიჩნდეთ სურვილი საპატიო წვლილი შეიტანოთ 32 წლის ახალგაზრდის სიცოცხლის გადარჩენაში. გწამდეთ, რომ კეთილი საქმე არ დაიკარგება. სანთელსაკმეველი ყოველთვის იპოვის თავის გზას...

**შეგახსენებთ ანგარიშის ნომერს — 71101 ჩოხატაურის აგრომრეწვბანკი.**

## თბილისის უნივერსალური (სასაქონლო-სანედლეულო, საფონდო და სავალუტო) ბირჟა

სააქციო საზოგადოების — „თბილისის უნივერსალური ბირჟა“ — დამფუძნებელთა საბჭო გაუწყებთ, რომ გრძელდება აქციებზე ღია ხელმოწერა.

ბირჟა იქმნება საქონლის, ნედლეულის, მომსახურების, ფასიანი ქაღალდების და სავალუტო ბაზრის განვითარების მიზნით.

ბირჟა ორგანიზაციას გაუწევს მატერიალური რესურსების და ნედლეულის, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის, სურსათის, სახალხო მოხმარების საგნების საბითუმო ვაჭრობას და აგრეთვე ფასიანი ქაღალდებით და უცხოური ვალუტით ოპერაციების წარმოებას.

ბირჟის საწესდებო ფონდის სავარაუდო ოდენობა — 20 მილიონი მანეთია. საწესდებო ფონდი დაყოფილია 100 ათასი მანეთის ნომინალური ღირებულების 200 აქციად. მათ შორის 180 უბრალო სახელობითი აქციაა, 20 კი პრივილეგირებული სახელობითი.

ბირჟის უბრალო აქციების მფლობელებს აქვთ უფლება ბირჟის მართვაში მონაწილეობისა, დივიდენდის (ბირჟის შემოსავლის ნაწილის) მიღებისა და აგრეთვე ექნებათ ბირჟაზე სავაჭრო ოპერაციების განხორციელების საშუალება.

აქციებზე ხელმოწერის საბოლოო ვადაა 1991 წლის 1 მარტი. დამფუძნებელი კონფერენცია შედგება 1991 წლის 6 მარტს.

ბირჟის აქციონერობის მსურველმა იურიდიულმა და კერძო პირებმა დამფუძნებელი კონფერენციის ჩატარებამდე უნდა შეიტანონ აქციის ნომინალური ღირებულების 30 %-ის ოდენობის თანხა საანგარიშსწორებო ანგარიშზე № 60900085, კოდი 805227 საქართველოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკში.

ბირჟის შექმნასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შეიძლება სამუშაო დღეებში 10-დან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე:

თბილისი, კონსტიტუციის მოედანი, სასტუმრო „აჭარა“, ბირჟის საორგანიზაციო კომიტეტი.

ტელ: 36-90-89, 36-94-80.

ახალგაზრდა ივერიელი

«Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
მურაზ ბალარჯიშვილი

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, ვ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
ვ. კოსტავას ქ. № 14.